ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავრობამ პრეზიდენტს 10 ქვეყანაში ვიზიტის ნებართვა არ მისცა, მათ შორის, უკრაინაში




ხუთშაბათი, 31 აგვისტო, 2023 №171 (9207) ფასი: 80 თეთრი

# „ქალაქის ფუნქცია მარტო ტელეკამერების წინ პოზირებაა?!“




ლელა ჯეჯელავა: „ქალაქის დასუფთავებაში პრობლემები რომ არ გვქონდეს და ნაგავი დროულად გაჰქონდეთ, ნაგავი სანიაღვრეებში ხომ ვერ აღმოჩნდებოდა?!“






რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების შიგნით მიმდინარე სრულიად არაჯანსაღი პროცესები ამ პარტიას ამომრჩეველს უკარგავს და მის რეიტინგს დაბლა სწევს“

## „საარჩევნოდ „ქართული ოცნება“ გაიყოფა და ახალი ოპოზიციური პარტია გაჩნდება“






კელი დეგნანი: „შეურაცხყოფისა და კრიტიკის მიუხედავად, თქვენი მოთმინებით სავსე პასუხები ხაზს უსვამს აშშ-საქართველოს მრავალწლიან პარტნიორობას“

მამუკა მდინარაძე: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი გამორიცხულია“







ანა დოლიძე: „როგორც შოუ არ ბრალდება დაზარალებულებს, ეგრე სანიაღვრეები არ ბრალდება გარემოვაჭრეებს“

ირაკლი ნადირაძე: „ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მილიონობით ლარი გამოიყოფა, რომ დედაქალაქში სანიაღვრე სისტემები მოწესრიგდეს“







„რუსეთი ტოტალურ მობილიზაციას ვერ დაიწყებს“

მიქაუტაძე აიაქსის ფეხბურთელია




საქართველო სადებიუტო მუნდიალზე შემდეგ ეტაპზე გავიდა




1993230720223

**4** რა მიზანს ემსახურება რუსეთის წარმომადგენლების პროვოკაციული განცხადებები?

**4** თაღლითს, რომელიც პოლიციას ემალებოდა, გაცნობის გვერდზე მიაგნეს

**5** დაავადება, რომელიც ღიმილით მიმდინარეობს

**6** დასავლეთელი მოკავშირეები უკრაინის დახმარების გრძელვადიან პროგრამას შეიმუშავებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქალაქის ფუნქცია მარტო ტელეკამერების წინ პოზირებაა?!“

## ლელა ჯეჯელავა: „ქალაქის დასუფთავებაში პრობლემები რომ არ გვქონდეს და ნაგავი დროულად გაჰქონდეთ, ნაგავი სანიაღვრეებში ხომ ვერ აღმოჩნდებოდა?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



***– ქალბატონო ლელა, გასაგებია, რომ უხვი ნალექი, სტიქიური უბედურება, ზვავი და ასე შემდეგ ხელისუფლების ბრალი არაა, მაგრამ კომუნიკაციების პრობლემა, სანიაღვრე სისტემების ვისი ბრალია? რა ხდებოდა წვიმის დროს დედაქალაქში? ვისი პასუხისმგებლობაა ეს ყველაფერი?***

– ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამასთან დაკავშირებით, როდესაც არის არაპროფესიონალიზმი, როდესაც არის გულგრილობა და უპასუხისმგებლობა, სწორედ იქ იწყება მერე ისეთი თემების გამოგონება, როგორიც არის – აბა, ომი გინდათ? და ასე შემდეგ. ომი არავის არ უნდა. ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა ცხოვრება მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში, მაგრამ როდესაც ვხედავთ, რომ ამ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას ვერ ახერხებს სახელმწიფო და ხელისუფლება, რაც ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა, ბუნებრივია, ადამიანებს ამის მიმართ უჩნდებათ შესაბამისი განწყობა. რას ნიშნავს, თურმე მერმა გუშინ აღმოაჩინა, რომ სანიაღვრეები არის სავსე ნაგვით და საიდან მოვიდა ამდენი ნაგავი.

***– სანიაღვრეები სუფთა იყო და ნაგავი თქვენი ბრალიაო. ასე გამოუვიდა თბილისის მერს.***

– კი, მაგრამ სანიაღვრეებიც რომ უნდა დაასუფთაონ და მისი ზედაპირებიც და კონტროლზე იყოს, ეს მერიის სამსახურების პასუხისმგებლობაა?! გასაგებია, მოქალაქეების დიდი ნაწილი უპასუხისმგებლოდ იქცევა და ნაგავს ქუჩაში ყრის, მაგრამ ქალაქის დასუფთავებაში პრობლემები რომ არ გვქონდეს და ნაგავი დროულად გაჰქონდეთ, ნაგავი სანიაღვრეებში ხომ ვერ აღმოჩნდებოდა?! ამიტომ თავად ამ კითხვის დასმა მერიის მხრიდან, არის ძალიან ცინიკური.

***– ნუ გამოხვალთ გარეთ, თავი შეიკავეთ გადაადგილებისგანო, ხომ გაგვაფრთხილეს?***

– კაცობრიობამ განვითარებასთან ერთად, ძალიან ბევრი ისეთი საშუალება შექმნა და ისეთ პროცესებს შეუწყო ხელი, რომელიც კაცობრიობისთვისვეა საშიში, მაგრამ ამის შიშით კაცობრიობამ არსებობა არ უნდა შეწყვიტოს. უნდა იყოს ყველა ზომა მიღებული, რომ დაცული იყოს უსაფრთხოება. პუტინი ყოველდღე გვემუქრება ბირთვული იარაღის გამოყენებით და ამიტომ ქუჩაში არ უნდა გამოვიდეთ ადამიანები?! სახელმწიფო იმისთვის ხარ, რომ დაზღვეული უნდა გქონდეს თითქმის ყველა შესაძლო რისკი, რომელიც მისი მოქალაქეების უსაფრთხოებას ემუქრება.

***– თბილისის მერის განცხადებით, ასეთი უხვი ნალექი თბილისს არ ახსოვსო.***

– როგორ არ ახსოვს თბილისს უხვი ნალექი?! ასეთი მოკლე მეხსიერება აქვს კალაძეს? 13 ივნისი არ იყო იმის კარგი და ცხადი მაგალითი. თუ რა ტიპის რისკების წინაშე დგას ქალაქი უხვი ნალექის დროს?! ვინმე ოდესმე წარმოიდგენდა იმას, რომ თბილისის ცენტრში ადამიანს ვეფხვი შეჭამდა?! ხომ არ გავიწყდებათ, რომ ეს სწორედ იმ განცხადების შემდეგ მოხდა, როდესაც პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ ცხოველები უკვე დაბინავებულები არიან და საფრთხეს მოქალაქეებისთვის აღარ წარმოადგენენ. ეს გავიარეთ? უკვე დაგვავიწყდა?! არა, არ დაგვავიწყდა. ვინმემ აიღო ამაზე პასუხისმგებლობა, რატომ აღმოჩნდა იქ ვეფხვი, როდესაც ჩვენ, ყველამ ვიცოდით, რომ საფრთხე მტაცებელი ცხოველებისგან აღარ ემუქრებოდა ქალაქს! რა დასკვნები გააკეთა აქედან ბატონმა მერმა? მშენებლობის ნებართვა აღარ გაუცია იმ ადგილებში, სადაც მაღალი რისკია თუ რა?! ხომ ვნახეთ, ეს ახალი გზაც როგორ იშლება. დასკვნები სად არის, რაზე გააკეთეს, რაზე იყო სწორი რეაქცია, რაზე იყო პრევენცია?!

***– მეტროში, ვაგონებში, ლიფტის შახტში, ყველგან წყალი იყო...***

– დიახ და ასეთ დროს იქ მყოფ ადამიანს რომ შეიძლება დენმა დაარტყას და ეს ფატალურად დასრულდეს, ნუთუ ეს ძნელი წარმოსადგენია?!

***– ორი წლის წინ აშენებულ კორპუსში ისე რომ წვიმს, როგორც გარეთ, ასეთი კორპუსები როგორ მიიღეს ექსპლუატაციაში? წვიმას რომ ვერ უძლებს, ასეთი კორპუსები მიწისძვრას როგორ გაუძლებს?***

– დიახ, სწორედ ეგაა საქმე. სტიქიას რომ წინ ვერავინ აღუდგება, ეს ვიცით. თუმცა სტიქიის დროს რომ რისკები მაქსიმალურად უნდა იყოს დაზღვეული, ეს არის სახელმწიფოს და ხელისუფლების ფუნქცია. ქალაქის მერს რა ჰგონია, მისი ფუნქცია მარტო ტელეკამერების წინ პოზირებაა?! ან ის, რაც გუშინ ხდებოდა, ეს სრულიად იაფფასიანი პროპაგანდა, როდესაც მეტროს ვაგონებში და ლიფტის შახტში წყალი ჩადიოდა, ამ დროს ტროლ-ბოტთა ლაშქარი, კახი კალაძის კალოშებს დითირამბებს უმღეროდა და კახი საუკეთესო მერიაო, ეს ხომ ძალიან იაფფასიანი რამეა! ამით უნდათ, რომ შეძლონ ძალაუფლებაში დარჩენა?!

***– 13 ივნისი ახსენეთ და ისევ ვერეს ხეობაში გასცეს ცათამბჯენების მშენებლობის უფლება. რას ნიშნავს ეს ყოველივე?***

– ამაზე პასუხისმგებლობას ვინ იღებს? ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ იქნება პასუხისმგებელი?! მე ვიცი უამრავი კორპუსი თბილისში, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებული არ არის, ნორმაა დარღვეული, მაგრამ ამის მიუხედავად, იქ მოსახლეობა ცხოვრობს. ამაზე ვინ იღებს პასუხისმგებლობას?! ვის მოვთხოვოთ პასუხი, რომელი ქვეყნის ხელისუფლებას?! თუ ისევ ნაცებს უნდა დავაბრალოთ ეს ყველაფერი?!

***– თითქოს ხალხიც მიეჩვია ამ ყველაფერს, მხოლოდ სოციალურ ქსელებში გამოუშვებს ორთქლს და ამით მთავრდება. გამოსავალი სადაა ამ სიტუაციიდან?***

– ერთადერთი გამოსავალია, თუ ამ საზოგადოებას რეალურად აღელვებს საკუთარი უსაფრთხოება ამ ქვეყანაში, უსაფრთხოებაში არ იგულისხმება მარტო ომი და ბომბები! ხომ ვნახეთ, რა მოიტანა შოვის ტრაგედიამ? ეს ომი გინდათ და ჩვენთან მშვიდობაა, ესეც ხომ პირობითია. ოკუპანტ ქვეყანასთან მშვიდობა, შეუძლებელია, რომ არსებობდეს. აი ამ მშვიდობიანობის პერიოდშიც კი, ჩვენი მოქალაქეების წინაშე დგას უამრავი რისკი. ელემენტარულად საკვების უვნებლობა და ჩვენ ვნახეთ, რომ „ნიკორას“ პროდუქციით რამდენი ადამიანი მოიწამლა. აბა ნახეთ, თუ არ აღმოაჩენთ, რომ ნიკორა იქნება ერთ-ერთი დიდი შემწირველი საარჩევნოდ ხელისუფლების.

***– რა გასაკვირია, როცა ჩვენი საპენსიო ფონდის აქციები სამართავად მთლიანად „ნიკორას“ გადასცეს.***

– მადლობა ამ დაზუსტებისთვის. იმ კომპანიას, რომელსაც სამართავად გადასცეს ჩვენგან წაღლეტილი ფული, ეს კომპანია ადამიანებს დივერსიას უწყობს! საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ, ამის შემდეგ ეს პასუხისმგებლობები ვის უნდა მოვთხოვოთ?!

***– ალბათ საზოგადოება იქნება მთავარი დამნაშავე, თუკი წავა და 2024-ში ისევ ამ ხელისუფლებას აირჩევს.***

– რასაკვირველია. ყველაზე მთავარი პასუხისმგებლობა ახლა გვეკისრება ჩვენ. ჩვენ, რომლებიც უარს ვამბობთ საკუთარ უსაფრთხოებაზე, რაღაცა მითოლოგიური შიშების გამო და ვიქმნით ალიბს. მოკლედ, ნაციონალური მოძრაობის არსებობა, ქართულ პოლიტიკაში აღმოჩნდა ალიბი, ჩვენი უუნარობისა, უპასუხისმგებლობისა, ჩვენი გულგრილობისა და ბოლოს და ბოლოს არაადამიანობისა! მეტი არაფერი არ არის. ნაციონალური მოძრაობით გვინდა ყველამ ალიბი შევიქმნათ აი ამ თვისებებზე, რომელიც ამ ქვეყანას სახელმწიფოდ შედგომის შესაძლებლობას არ აძლევს!

## ანა დოლიძე: „როგორც შოვი არ ბრალდება დაზარალებულებს, ეგრე სანიაღვრეები არ ბრალდება გარემოვაჭრეებს“



– როგორც შოვი არ ბრალდება დაზარალებულებს, ეგრე სანიაღვრეები არ ბრალდება გარემოვაჭრეებს, – ამის შესახებ პარტია „ხალხისთვის“ ლიდერმა ანა დოლიძემ განაცხადა.

მან მმართველ პარტიას „სამარცხვინო“ უწოდა.

– ჰოპლა! იფიქრეს და მოიფიქრეს, რომ არ ღირს წყალდიდობის დაბრალება „ნაციონალებისთვის“. „გაცვდა. მაშ რა ვქნათ?!“ – იკითხა 15 ათას ლარიანმა პიარ კონსულტანტმა?

– ხალხს დავაბრალოთ და მოდი ყველაზე მოწყვლად ხალხს, რომელსაც ყველაზე ნაკლები ხმა აქვს პოლიტიკაში: გარემოვაჭრეებს შევტენოთ სანიაღვრეების პრობლემა!“ მაგარი სამარცხვინოები ხართ თქვენ, „ოცნება“! არ გაგივათ! როგორც შოვი არ ბრალდება დაზარალებულებს, ეგრე სანიაღვრეები არ ბრალდება გარემოვაჭრეებს, – განაცხადა ანა დოლიძემ.

ანა დოლიძის განცხადებას პარტია „ხალხისთვის“ ავრცელებს.

## კელი დეგნანი: „შეურაცხყოფისა და კრიტიკის მიუხედავად, თქვენი მოთმინებით სავსე პასუხები ხაზს უსვამს აშშ-საქართველოს მრავალწლიან პარტნიორობას“

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში კელი დეგნანს მადლობას უხდის იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც დიპლომატიური მისიის პერიოდში, ელჩი საქართველოს მიმართ გამოხატავდა. არასამთავრობოები ერთობლივ წერილს ავრცელებენ, რომელსაც 40-მდე ორგანიზაცია აწერს ხელს:

– ქალბატონო ელჩო, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სახელით გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თანამდებობაზე მუშაობისთვის და იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც საქართველო და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დიდი გამოწვევების პირობებშიც ყოველთვის ვგრძნობდით ამერიკის შეერთებული შტატებისგან და პირადად თქვენგან.



თქვენი ელჩობა საქართველოში ტრაგიკულ და ისტორიულ მოვლენებს დაემთხვა როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი თქვენი ურყევი მხარდაჭერა, ჩვენს მადლიერებას იმსახურებს და საქართველოსთან მეგობრობისა და ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობის მაგალითს წარმოადგენს. თქვენი მტკიცე პოზიცია ევროპული სახელმწიფოების ოჯახში საქართველოს დაბრუნების მნიშვნელობის თაობაზე, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის დასრულების აუცილებლობაზე, რუსეთზე დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით სიფხიზლის საჭიროებასა და აშშ-საქართველოს თანამშრომლობის სიმტკიცეზე საქართველოს უსაფრთხოებისა და დემოკრატიული მისწრაფებისადმი თქვენს ურყევ ერთგულებაზე მიანიშნებს. თქვენი გზავნილი ჩვენი თანამემამულეებისადმი, მივიღოთ აქტიური მონაწილეობა საარჩევნო პროცესში, პირდაპირ ეხმიანება ჩვენს დემოკრატიულ მისწრაფებებს, რასაც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მტკიცედ იცავს.

პოლიტიკურად მოტივირებული შეურაცხყოფისა და კრიტიკის მიუხედავად, თქვენი მოთმინებით სავსე პასუხები ხაზს უსვამს აშშ-საქართველოს მრავალწლიან პარტნიორობას და წარმოაჩენს დეზინფორმაციისგან მომდინარე საფრთხეს.

ქალბატონო ელჩო, საქართველოს კულტურისა და ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და ევროპული მომავლის მისწრაფებებისადმი ღრმა პატივისცემა, ისევე, როგორც თქვენი გულმოდგინე სამსახური, მხარდაჭერა და ჩვენი ქვეყნის, მისი მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ერთგულება, ფასდაუდებელი იყო.

დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენი ელჩობის პერიოდში შექმნილი კავშირები გაგრძელდება და გაღრმავდება, – ნათქვამია წერილში.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საარჩევნოდ „ქართული ოცნება“ გაიყოფა და ახალი ოპოზიციური პარტია გაჩნდება“

## რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების შიგნით მიმდინარე სრულიად არაჯანსაღი პროცესები ამ პარტიას ამომრჩეველს უკარგავს და მის რეიტინგს დაბლა სწევს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო რამაზ, პოლიტიკურად მკვდარი სეზონის დასრულების შემდეგ, რამდენად არის მოსალოდნელი პოლიტიკურად „ცხელი“ შემოდგომა?***

— ფაქტიურად საათები რჩება შემოდგომის დადგომამდე. სექტემბრიდან, პოლიტიკური პროცესები გააქტიურდება. თუმცა, პოლიტიკოსებისთვის რამდენად ნაყოფიერი შემოდგომა იქნება, ვერ გეტყვით იმ ნიჰილიზმის ფონზე, რაც ხალხშია. ხმაური, დაპირისპირება, ბრალდებები უხვად იქნება, მაგრამ ეს რა შედეგს მოუტანს ოპოზიციას?! არც არაფერს. საქმიანი წინადადებები, სერიოზული გეგმა ქვეყნის უკეთესი განვითარების, მათგან არ მოუსმენია ამომრჩეველს. ოპოზიციას თუ არა აქვს ალტერნატიული გეგმა, ხედვა, მაშინ რთულია მას დაუჯერო. ასეთი ალტერნატიული გეგმით, წინადადებით უნდა გამოდიოდეს ოპოზიცია და არა იმის ძახილით, რომ მე უკეთესი ვარ. უკეთესი თუ ხარ, უნდა დაამტკიცო.

***— წინასაარჩევნოდ რამდენად არის მოსალოდნელი ოპოზიციის გადაჯგუფება ან ახალი ძალების გამოჩენა?***

— ოპოზიციური პარტიების რეიტინგი დათვლილია და ცნობილია. არავისთვის არ არის სიურპრიზი, რომ მათი რეიტინგი 1-2-3 პროცენტს არ ცდება. ამიტომ, თუ ისინი გაერთიანდებიან ან გადაჯგუფდებიან სამ-ოთხ პარტიად, ვფიქრობ, მაინც შედეგს ვერ მიიღებენ. ცხადია, შედეგში 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვას ვგულისხმობ.

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, გასაგებია, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ის არის ერთადერთი პარტია, რომელიც საარჩევნო ბარიერის გადალახვის შანსებს ინარჩუნებს. თუმცა, პარტიის შიგნით მიმდინარე სრულიად არაჯანსაღი პროცესები ამ პარტიას ამომრჩეველს უკარგავს და მის რეიტინგს დაბლა სწევს.

თქვენ ახალი ძალების გამოჩენაზე მკითხეთ. მე არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი სიახლე მართლაც იყოს. თუმცა, ეს არ იქნება საიდანღაც, უცებ მოსული ხალხისგან დაკომპლექტებული პარტია.

***— რას გულისხმობთ?***

— შეიძლება „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით მოხდეს გაყოფა და რომელიმე ლიდერს გაყვეს გარკვეული ჯგუფი, ეს უკვე იქნება ახალი პარტია, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას.

***— და რომელიც ბარიერს გადალახავს?***

— ცხადია. ვფიქრობ, ეს უფრო საინტერესო პროცესი იქნებოდა, რადგან საქართველოში ხელისუფლების შიგნიდან წამოსული ოპოზიცია, ბევრად უფრო შედეგიანია ხოლმე. ასე იყო „ვარდების რევოლუციის“ დროს, როდესაც ხალხი ხელისუფლებიდან ოპოზიციაში წასულ სააკაშვილს გაჰყვა და არა, მაგალითად, ოპოზიციაში მყოფ შალვა ნათელაშვილს.



***— ამ მოცემულობით დიდი შანსია, „ქართულმა ოცნებამ“ მის განაყოფთან შექმნას კოალიციური მთავრობა?***

— დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც დამოკიდებული იქნება იმაზე, რა პროცესები განვითარდება უშუალოდ არჩევნების მოახლოებისას.

***— თუ ასე არ განვითარდება მოვლენები, დღევანდელი მოცემულობით, პარლამენტში როგორი იქნება ძალთა ბალანსი?***

— როგორც უკვე ვთქვით, დღევანდელი მოცემულობით, მხოლოდ ორ პარტიას აქვს შანსი 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს. თუ არაფერი არ მოხდება და ასე დარჩება ყველაფერი, მაშინ ახალი პარლამენტი ნამდვილად არ იქნება სიურპრიზების შემცველი. „ქართული ოცნება“ კიდევ უფრო მეტ მანდატს აიღებს, ნაციონალური მოძრაობა კი უფრო ნაკლებს. დღევანდელთან შედარებით ნაციონალებს საგრძნობლად ნაკლები მანდატები ექნებათ.

***— როგორი შეიძლება იყოს ამომრჩევლის აქტივობა? რადგან საუბარია ძალიან მნიშვნელოვან არჩევნებზე, რომელიც ან შეცვლის ხელისუფლებას, ან დატოვებს.***

— დიახ, ასეა ნამდვილად. თუმცა, ხომ იცით, ადამიანის ბუნება როგორ არის მოწყობილი, თუ ყველაფერი წინასწარ განჭვრეტადი იქნება, ანუ შედეგები იმთავითვე ცნობილი იქნება, მაშინ აქტივობა დაბალი იქნება, მაგრამ თუ დამაინტრიგებელი რამ მოხდება, ან გამოცანად დარჩება — ვინ იქნება გამარჯვებული, მაშინ ამომრჩევლის აქტივობა მაღალი იქნება. ისე, ამომრჩევლის აქტივობა პარტიებზეა დამოკიდებული. პარტიებმა უნდა შეძლონ ინტერესის გაჩენა ზოგადად ამომრჩევლებში. პარტიებზეა დამოკიდებული თავიანთ მხარდამჭერების მობილიზება. ხშირად ხდება ისე, რომ პოლიტიკოსები მოულოდნელ განცხადებებს აკეთებენ ან აანონსებენ ისეთ რაღაცებს, რომელიც მათადმი ინტერესს კი არ ანელებს, არამედ აღვივებს. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, პოლიტტექნოლოგიის ნაწილია.

# მთავრობამ პრეზიდენტს 10 ქვეყანაში ვიზიტის ნებართვა არ მისცა, მათ შორის, უკრაინაში



მთავრობის ადმინისტრაცია სალომე ზურაბიშვილის ევროპულ ვიზიტებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, საიდანაც ირკვევა, რომ პრეზიდენტს უარი ეთქვა გერმანიაში, უკრაინაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, ბელგიაში, დანიაში, არაბათა გაერთიანებულ საამიროებში, ბულგარეთში, ჩეხეთსა და ისრაელში სამუშაო ვიზიტებზე.

ღარიბაშვილის უწყება პრეზიდენტს შეახსენებს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, პრეზიდენტი მხოლოდ მთავრობის ნებართვით ახორციელებს საგარეო ვიზიტებს

— გვსურს გამოვეხმაუროთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საქართველოს მთავრობას აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით წინადადებით 2023 წლის 12 ივლისს მიმართა, რაზეც საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2023 წლის 3 აგვისტოს ოფიციალურად, წერილობით ეთქვა უარი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის თანახმად.

ასევე, პრეზიდენტს ოფიციალურად, წერილობით ეთქვა უარი 22-24 აგვისტოს უკრაინაში, 16 სექტემბერს შვეიცარიის კონფედერაციაში, 2-3 ოქტომბერს პოლონეთის რესპუბლიკაში, 4-6 ოქტომბერს ბელგიის სამეფოში, 31 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით დანიის სამეფოში და 1-2 დეკემბერს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სამუშაო ვიზიტებზე. სალომე ზურაბიშვილს ასევე უარი ეთქვა 27-29 სექტემბერს ბულგარეთის რესპუბლიკაში, 10-12 დეკემბერს ჩეხეთის რესპუბლიკაში და 18-20 დეკემბერს ისრაელის სახელმწიფოში ოფიციალურ ვიზიტებზე.

შევახსენებთ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, ვინაიდან კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებაა, — ნათქვამია მთავრობის განცხადებაში.

შეგახსენებთ, კანდიდატის სტატუსის მინიჭების მხარდასაჭერად პრეზიდენტი ევროპელ ლიდერებთან შეხვედრებს იწყებს, — ამის შესახებ ინფორმაცია დღეს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა.

პირველი შეხვედრა 31 აგვისტოს ბერლინში გერმანიის პრეზიდენტთან ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან გაიმართება.

# მამუკა მდინარაძე: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი გამორიცხულია“

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტი გამორიცხულია. აღნიშნულის შესახებ მდინარაძემ ჟურნალისტებს პარლამენტში განუცხადა, რითაც შესაბამის კითხვას უპასუხა.

როგორც მამუკა მდინარაძემ განმარტა, კონსტიტუციის დარღვევა არის იმპიჩმენტის საფუძველი, თუმცა იმპიჩმენტთან დაკავშირებით მმართველი პარტია საკითხს არ დაძრავს შემდეგი მიზეზის გამო — ყველა ხედავს, თუ როგორ იცავს ნაციონალური მოძრაობა სალომე ზურაბიშვილს.

— იმპიჩმენტს რაც შეეხება, „მთავარი არხიც“ კი ანუ იგივე „ნაცმოძრაობა“ როგორ იცავს სალომე ზურაბიშვილს, ალბათ ხედავთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმპიჩმენტის შემთხვევაში ჩვენ გვჭირდება ოპოზიციის ხმებიც. ოპოზიცია და პრეზიდენტი დღეს ერთ ხმაში საუბრობს, მათი ტელევიზიები, მათი პოლიტიკური განშტოებები ანუ ნაცმოძრაობა, კლასტერი, ყველა ერთ ხმაში საუბრობს და დღევანდელმა დღემაც აჩვენა, როგორ უჭერს მხარს ნაცმოძრაობა სალომე ზურაბიშვილს. შესაბამისად, იმპიჩმენტი გამორიცხულია, ამიტომ, იმ საკითხის დაძვრასაც, რაც თავიდანვე გამორიცხულია, აზრი არ აქვს, — განაცხადა მდინარაძემ.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ აქვს პრეზიდენტს ევროპაში ვიზიტებზე მთავრობის თანხმობა, მდინარაძემ აღნიშნული შემდეგი მიზეზებით ახსნა:

— ძალიან რომ გავამარტივოთ და ეს ყველაფერი პრიმიტიულ ენაზე დავიყვანოთ, სალომე ზურაბიშვილმა ქვეყნის შიგნით ცუდი რაღაცები ილაპარაკა ქვეყნისთვის, ქვეყნის გარეთ შემდეგ შეეცადა გამოესწორებინა და კარგი რაღაცები ილაპარაკა. ახლა ჩვენ უნდა ვიკითხაოთ, მერე საქართველოს მთავრობამ უნდა იმკითხაოს — შიგნით ცუდს ამბობს და ამ ადამიანს, შეიძლება ჰგონია, რომ ქვეყნის შიგნით თუ რამეს იტყვის, ის ქვეყნის გარეთ არ გადის და ამას ვერავინ გაიგებს. წარმოიდგინეთ, თუ აქ მივდივართ, არ ვიცი, მაგრამ ერთხელ ქვეყნის შიგნით ცუდი თქვა, ქვეყნის გარეთ კარგი თქვა. ქვეყნის გარეთ რადგან კარგი თქვა, იქნებ, ახლაც კარგი თქვას, მაგრამ რომ არ თქვას კარგი? იქ ისევ დამაზიანებელი განცხადებები რომ გააკეთოს? ანუ ხვდებით, რა რისკებში არასერიოზულობაში შევდივართ? მაშინ, როდესაც ჩვენ მოსმენილი გვაქვს, რომ ხან ასე ლაპარაკობს, ხან ისე ლაპარაკობს.

სხვათა შორის, ხალხის რეაქციამ უზრუნველყო, რომ ქვეყნის შიგნითაც კი, შედარებით გაასწორა მესიჯები, თუ გახსოვთ. რამდენიმე დღის შემდეგ, 26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შედარებით დარბილებული ჰქონდა საქართველოს საწინააღმდეგო მესიჯები, რაც პარლამენტში გაახმოვანა. რატომ იცით? იმიტომ, რომ მთელი იმ დღეების განმავლობაში სოციალურ ქსელებში, თუ სადაც შეიძლებოდა რეაქცია ოდნავ მაინც გაგეზომა, ქართველი საზოგადოების რეაქცია უკიდურესად მძიმე იყო და ამ მძიმე რეაქციამ, როგორც ჩანს, გავლენა იქონია, — განაცხადა მდინარაძემ.

ამასთან, მისი თქმით, სინამდვილეში, ქართველი საზოგადოება ხედავს, ვინ, რას აკეთებს.

„ქართული ოპოზიცია, მისი ტელევიზიები და საქართველოს პრეზიდენტი, სამწუხაროდ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველომ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი და ეს გამოიყენონ საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ პირიქით, რომ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი.

შესაბამისად, ამ განზრახვის გაშიფვრა როდესაც მარტივად შეიძლება, მთავრობის არდათანხმებაც ლოგიკურია, მაგრამ ახლა თუ წავიდა და საქმე გააფუჭა, მერე შეიძლება ცოტა გვიანიც იყოს, — განაცხადა მდინარაძემ.

# ირაკლი ნადირაძე: „ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მილიონობით ლარი გამოიყოფა, რომ დედაქალაქში სანიაღვრე სისტემები მოწესრიგდეს“

— დედაქალაქის მერიიდან, ბიუჯეტიდან, ყოველწლიურად ფაქტობრივად მილიონობით ლარი გამოიყოფა, ათობით მილიონზეა უკვე საერთო ჯამში საუბარი, რომ სანიაღვრე სისტემები მოწესრიგდეს. პასუხისმგებელი თბილისის მერიაა და მისი შესაბამისი სამსახური „თბილსერვისი“, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს თანხები გაფლანგულია, — ამის შესახებ საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ირაკლი ნადირაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, დედაქალაქში მდგომარეობა წლიდან წლამდე სულ უფრო მძიმდება და ყოველი წვიმის მოსვლა, ფაქტობრივად სტიქიაა.

— კახი კალაძის დამოკიდებულება თბილისელების მიმართ აბსოლუტურად გულგრილია. ის დაკავებულია კორუფციით, ნეპოტიზმით, ჩხარტიშვილს, ივანიშვილს, წილოსანს, „ქართული ოცნების“ მაფიოზებს როგორ მოუგვაროს პრობლემები და არა თბილისელებს.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ხდება ქალაქში ასეთი დატბორვა, ამას ბევრი მიზეზი აქვს. პირველი, ეს იმის ბრალია, რომ არ ხდება არსებული სანიაღვრე სისტემების გაწმენდა, არ ხდება ახალ გზებზე, მაგისტრალებზე სანიაღვრე სისტემების მონტაჟი. ასევე ვხედავთ, რომ არ იწმინდება მდინარის კალაპოტები, წყალშემკრებები და ხევები.

ვხედავთ უკანონო, მავნებლურ მშენებლობებს, სადაც პირდაპირ ხევებში და კალაპოტებში აშენებენ შენობებს აბსოლუტურად ქაოსურად. აი, ამ ყველაფერმა მოიტანა არაპროფესიონალიზმთან, არაკომპეტენტურობასთან ერთად, კორუფციასთან და ნეპოტიზმთან ერთად, ის შედეგი, რის გამოც, თბილისში ყოველი გაწვიმების დროს კატასტროფა გვაქვს. ცალკე ამბავია ასევე ის, რომ დედაქალაქის მერიიდან, ბიუჯეტიდან, ყოველწლიურად ფაქტობრივად მილიონობით ლარი გამოიყოფა, ათობით მილიონზეა უკვე საერთო ჯამში საუბარი, რომ სანიაღვრე სისტემები მოწესრიგდეს. ამაზე პასუხისმგებელი თბილისის მერია და მისი შესაბამისი სამსახური „თბილსერვისია“, მაგრამ ვხედავთ, რომ ეს თანხები უბრალოდ გაფლანგულია.

არანაირი ეფექტი არ მოუტანია ამ თანხების ხარჯვას და პირიქით, მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დამძიმებულია, მიუხედავად ათობით მილიონი ლარის ხარჯისა, — განაცხადა ირაკლი ნადირაძემ, რომლის კომენტარსაც პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მიზანს ემსახურება რუსეთის წარმომადგენლების პროვოკაციული განცხადებები?

## „რუსეთი აქტიურად ემზადება ჩვენი ტერიტორიების ანექსიისთვის“

მარიამ მჭედლიშვილი



ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხების განხილვა, რუსეთის მხრიდან კი გახშირდა სხვადასხვა სახის პროვოკაციული განცხადებები.

ამ თემების წამოწევა არ უკავშირდება მხოლოდ რუსეთის საქართველოში შემოჭრისა და ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარების მე-15 წლისთავს. სხვადასხვა კომენტარის შეჯამება იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ უკრაინის ომში ჩართული კრემლი დასავლეთის ჯიბრით სხვა ტერიტორიებსაც ეპოტინება. მოსკოვი იმუქრება აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიების ანექსიით. ამასთან, როგორც ჩანს, ოკუპანტი სახელმწიფო საქართველოს მთელ ტერიტორიას საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს და თბილისს სთავაზობს რუსეთთან ინტეგრაციას.

თბილისში მტკივნეულად აღიქვეს კარასინის (ამჟამად ის რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის დეპუტატია), მანამდე კი მედვედევის განცხადებები, რომლებიც ეხება ოკუპირებულ რეგიონებს. ამასთან, მედვედევის განცხადებამ იმაზე, რომ რუსეთთან შეერთების იდეა პოპულარულია აფხაზეთში (ორივე რეგიონში), აფხაზეთში დიდი პროტესტი გამოიწვია.

– კატეგორიულად მიუღებელია განცხადებები, რაც ჯერ მედვედევის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელის, გრიგორი კარასინის მიერ გაკეთდა. ამ განცხადების მიხედვით, მოსკოვი ყველაფერს აკეთებს, რომ ჩინეთისა და ინდოეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება მოხდეს. ეს განცხადებები ცხადყოფს, რომ რუსეთი აქტიურად ემზადება ჩვენი ტერიტორიების ანექსიისთვის, – განაცხადა პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარემ, პაატა დავითაიამ.

მისი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამჯერად განცხადებებს აკეთებს კარასინი, რომელიც მომლაპარაკებელი პირი, აბაშიძე-კარასინის ფორმატის წარმომადგენელია. დავითაიამ მოითხოვა კარასინის მოლაპარაკებებიდან ჩამოცილება.

– ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. ეს არის ჩვენი პოლიტიკის მთავარი პოსტულატი. ჩინეთთან და ინდოეთთან ჩვენი პოზიციის სრული თანხვედრაა. არსებობს არაღიარების სტრატეგიული მიმართულებები, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემის ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები უზრუნველყოფენ. ამას (ჩინეთისა და ინდოეთის მხრიდან აღიარებას) პერსპექტივა არ გააჩნია, – აცხადებს მმართველი პარტიის წარმომადგენელი, ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი.

კონფლიქტური რეგიონების თემაზე კომენტარი გააკეთა ასევე რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, კონსტანტინ კოსაჩოვმა. მან ღიად გამოამჟღავნა, რომ რუსეთი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის პედალირებით დასავლეთს უპირისპირდება.

– აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ღირსეული პასუხია „წესებზე დამყარებული დასავლეთის წესრიგის მიმართ“. აფხაზეთი მთელი საკვანძო ნიშნებით სუვერენული სახელმწიფოა, – განაცხადა კოსაჩოვმა.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ბჟანია, ასევე რუსეთის ე.წ. ელჩი ცხინვალის რეგიონში კულახმეტოვი აღიარებენ, რომ თბილისში მომრავლდნენ პირები, რომლებიც მზად არიან, აღიარონ ამ რეგიონების „დამოუკიდებლობა“.

თბილისში არიან ისეთებიც, რომლებიც ამ რეგიონებთან ერთად დანარჩენი საქართველოს რუსეთში ინტეგრაციისკენ ისწრაფვიან. ნათელია, რომ ისინი საკუთარ აზრებს არ გამოთქვამენ და კრემლის მთავარი განზრახვა ესაა.

ერთი მათგანია „სოციალისტური პლატფორმის“ კოორდინატორი თემურ ფიფია. ის პასუხობს შეკითხვას ქართველების მომავალ ურთიერთობაზე აფხაზებსა და ოსებთან.

– შესაძლებელია თუ არა მომავალში საქართველოს მშვიდობიანი მეზობლობა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან? რა არის ამისთვის საჭირო?

– საქართველოს ერთადერთი მომავალი აქვს – ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში, სამოკავშირეო ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან. ეს არის ყველაზე აუცილებელი პირობა ნდობის მოსაპოვებლად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან, ეს არის რუსეთთან უსაფრთხოების ერთიანი სივრცის უზრუნველყოფა, როცა საქართველო საბოლოოდ გათავისუფლდება ამერიკული გავლენისგან და გარანტირებულად შეწყვეტს თანამშრომლობას ნატოსთან.

# „რუსეთი ტოტალურ მობილიზაციას ვერ დაიწყებს“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოს საზოგადოებისთვის საყურადღებოა ზოგადად ომის მიმდინარეობა უკრაინაში, ასევე რუსეთში მობილიზაციის საკითხები. ცნობილია, რომ წინა ნაწილობრივმა მობილიზაციამ საქართველოში რუსი მიგრანტების რიცხვი გაზარდა. თემაზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს პუტინის ოპონენტი, სოციოლოგი იგორ იაკოვენკო.

**იგორ იაკოვენკო:**

– პუტინს სჭირდება საზარბაზნე ხორცი და ადამიანებს ფრონტზე გარეკავენ. აქ მთავარი ისაა, რომ ფრონტზე გასაგზავნი ადამიანების რაოდენობა შეზღუდულია. ამის მიზეზია შესაძლებლობები. შეზღუდულია ოფიცრების რაოდენობა. მილიონობით გაუწვრთნელი ადამიანის ფრონტზე გაგზავნა არ შეიძლება. ამის შედეგად „საზარბაზნე ხორციც“ კი არ მიიღება. ეს იქნება „საზარბაზნე ფარში“. მეომრებს დასჭირდებათ ჩაცმა, შეიარაღება, განთავსება, მოწყობა. არადა, კაზარმებისა და პოლიგონების რაოდენობაც შეზღუდულია. მობილიზაცია შეეხება სულ 250-300 ათას კაცს.

რუსეთის რეჟიმს არ გააჩნია რესურსები ტოტალური მობილიზაციისთვის, რაზეც „ურაპატრიოტები“ ყვირიან.

***– ემზადება თუ არა რუსეთი გარკვეული მასშტაბური მოქმედებებისთვის შემოდგომასა და ზამთარში?***

– არანაირი მასშტაბური მოქმედებები შემოდგომასა და ზამთარში არ იქნება. რუსეთის არმიის არსებული პოტენციალი ყოფნის თავდაცვით ომს, ანუ მიტაცებული ოკუპირებული ტერიტორიების დაცვას. ახალი ტერიტორიების დაპყრობის პოტენციალი პუტინის არმიას არ გააჩნია.

***– ამ დღეებში გამოცემა „ბლუმბერგმა“ დაწერა, რომ „ფსბ“ პუტინისგან მოითხოვს შოიგუს გადაყენებას, ასევე საყოველთაო მობილიზაციისა და, შესაბამისად, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას. რატომ უნდა უნდოდეთ ეს სპეცსამსახურებს?***

– არ ვარ დარწმუნებული, რომ „ბლუმბერგი“ ღრმად ერკვევა რუსეთში მიმდინარე პროცესებში. რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში არსებობს სხვადასხვა მიმართულება, აზრთა სხვადასხვაობა. ძალიან მეეჭვება, რომ „ფსბ“-ს კოლეგიას მიეღო გადაწყვეტილება და მიემართა პუტინისთვის ამ მოთხოვნებით. „ფსბ“-ს კოლეგიაშიც სხვადასხვა მიმართულებებია, ისევე, როგორც თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაში. ეს ინფორმაცია ადასტურებს, რომ რუსეთის ზედაფენაში აშკარა განხეთქილებაა. პრიგოჟინის ამბოხი იმის თვალსაჩინო დემონსტრირებაა, რომ მას ჰქონდა სერიოზული მხარდაჭერა.

***– არის თუ არა კავშირი პრიგოჟინის ლიკვიდაციასა და მომავალ არჩევნებს შორის?***

– არა. პრიგოჟინს არჩევნებამდე რომ მიეღწია, მას არჩევნებზე არ დაუშვებდნენ. პრიგოჟინი აფრიკაში აპირებდა წასვლას. იქიდან ის პუტინს ვერ ავნებდა. ის, რაც მოხდა, შურისძიებაა. მეორეც, ეს არის სხვების დაშინება. არჩევნები პუტინისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ეს ღონისძიება მის რეჟიმს არავითარ საშიშროებას არ უქმნის. დაასახელებენ ვინმეს მის კონკურენტ კანდიდატად, მაგალითად, ქსენია სობჩაკს, აალებინებენ 1%-ს. პუტინს დაუწერენ ნებისმიერ ციფრს.



# ბათუმი შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალს უმასპინძლებს



ბათუმში შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის მე-10 საიუბილეო სეზონი საზეიმოდ აღინიშნება.

9 დღის განმავლობაში, ბათუმი კლასიკური მუსიკის ცენტრად გადაიქცევა და ზღვისპირა ქალაქს ქართულ მუსიკასთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის ჯადოსნური ჰანგები მოეფინება.

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ფონდ „ლირას“ ორგანიზებით ჩატარდება, რომლის დამაარსებელიც პიანისტი ელისო ბოლქვაძეა.

მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებთან ერთად, დამსწრე საზოგადოების წინაშე ახალგაზრდა ტალანტები წარსდგებიან. კონცერტების გარდა ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ მასტერკლასებს, რეპეტიციებსა და გამოფენებს.

ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ერთადერთი კულტურული ღონისძიებაა საქართველოში, რომელმაც წელს მეექვსეჯერ მოიპოვა იუნესკოს მაღალი პატრონაჟი.

ფესტივალი ბათუმის მუსიკალურ ცენტრში 30 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება, სადაც ბათუმის საფესტივალო ორკესტრი ვერდისა და დვორჟაკის ნაწარმოებებს შეასრულებს. ორკესტრს გუდნი ემილსონი უდირიჟორებს, სოლისტი კი ფლეიტისტი ჯუზეპე ნოვა იქნება.

1 ოქტომბერს ბათუმის საფესტივალო ორკესტრი მოცარტისა და გრიგის ნაწარმოებებს იტალიელი დირიჟორის პიეტრო ბორგონოვოს ხელმძღვანელობით დაუკრავს. სოლისტი პიანისტი ანა ფედოროვაა.

ფესტივალის მომდევნო საკონცერტო დღე 2 ოქტომბერია. პროგრამაშია აზერბაიჯანული ტრადიციული მუგამი სალმან გამბაროვისა და ტაიარ ბაირამოვის მონაწილეობით.

3 ოქტომბერს ჩატარდება საქველმოქმედო გალა კონცერტი ფონდ „სოლიდარობისთვის“. საღამოზე ჰაიდნის, კარლ მარია ვონ ვებერისა და მოცარტის ნაწარმოებები შესრულდება. ორკესტრს დავით მუქერია უდირიჟორებს, სოლისტები და პიანისტი ელისო ბოლქვაძე და კლარნეტისტი ალექსანდრე ბედენკო იქნებიან.

ფესტივალის პროგრამაშია კომპოზიტორ ზვიად ბოლქვაძის მუსიკალური მონოდრამა „მედეას ვნებანი“, რომელსაც დამსწრე საზოგადოება 5 ოქტომბერს დაესწრება. ამავე დღეს ბათუმში ქართული კლასიკური საგუნდო მუსიკა აჟღერდება.

„მომავლის ვარსკვლავები“ – ასე ჰქვია კონცერტს, რომელიც ახალგაზრდა პიანისტებს აერთიანებს. საღამო 7 ოქტომბერს გაიმართება. გალა კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ლიზი მეგრელიშვილი, არსენ კარაპეტიანი, ანაჰიტ სტელმაშოვა, ადამ შოკოლაი, ზუმრუდ ალიზადა, ჯამილ სადიზადე.

ფესტივალის დასკვნით დღეს – 8 ოქტომბერს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ მაყურებლის წინაშე სპეციალური პროგრამით წარდგება.

# ბიონსე სცენაზე ირაკლი რუსაძის კაბით გამოვიდა

მსოფლიო ვარსკვლავი ბიონსე სცენაზე ქართველი დიზაინერის ირაკლი რუსაძის ულამაზესი ვერცხლისფერი კაბით გამოვიდა.



ირაკლი მესამე ქართველი დიზაინერია, რომლის სამოსიც ბიონსეს გარდერობში აღმოჩნდა.

მომღერლის გახმაურებულმა მუსიკალურმა ტურმა არიზონას შტატშიც მოიცვა. კონცერტი ბიონსემ ირაკლი რუსაძის კაბით გახსნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



# მებაჟეებმა ბანანების პარტიაში დიდი რაოდენობით კოკაინი აღმოაჩინეს



ესპანეთის საბაჟომ ქვეყნის ისტორიაში კოკაინის ყველაზე მსხვილი პარტიის კონფისკაცია განახორციელა.

ეკვადორიდან ჩამოსულ ბანანების პარტიაში მებაჟეებმა რეკორდული მოცულობის 9,5 ტონა კოკაინი აღმოაჩინეს და ამოიღეს. ესპანეთის საგადასახადო სამსახურის წარმომადგენელმა ხოსე კარლოს არობესმა განაცხადა, რომ ნარკოტიკები სამაცივრე კონტეინერში ბანანებით სავსე 1080 ყუთში აღმოაჩინეს.

კოლოფებს, რომლებში კოკაინი იყო დამალული, 30-ზე მეტი სხვადასხვა ლოგოტიპი ამშვენებდა. სავარაუდოდ, ეს ტვირთი ევროპულ დანაშაულებრივ ჯგუფს უნდა მიეღო.

სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოძიება ჯერ კიდევ ივლისში დაიწყეს, როდესაც ინფორმაცია მიიღეს, რომ ეკვადორის გავლით კოლუმბიიდან ნარკოტიკების მსხვილი პარტია უნდა შემოსულიყო, რომელიც შემდეგ ესპანეთიდან პორტუგალიაში უნდა გადაეტანათ, საიდანაც ის მთელ ევროპაში გავრცელდებოდა.

# თაღლითს, რომელიც პოლიციას ემალებოდა, გაცნობის გვერდზე მიაგნეს



დიდი ბრიტანეთის საფოლკის საგრაფოს ქალაქ მილდენჰოლში მიაგნეს თაღლით მამაკაცს, რომელიც ნახევარ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემალებოდა პოლიციას.

უეინ პარკერი თავს მესაქონლედ ასაღებდა, რამაც მას მრავალი კომპანიისგან უამრავი კრედიტის მიღების საშუალება მისცა. მათმა საერთო რაოდენობამ 765 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. მამაკაცი იშვიათად აბრუნებდა თანხას, ხოლო როდესაც ამას აკეთებდა, ირკვეოდა, რომ მის მიერ გაგზავნილი ქვითრები ყალბი იყო.

მიმდინარე წლის თებერვალში პარკერი არ გამოცხადდა სასამართლოში, რის შემდეგაც მისი დაპატიმრების ორდერი გაიცა. როგორც სამართალდამცავებმა გაარკვიეს, ძებნაში მყოფ პარკერს გაცნობის გვერდით აქტიურად სარგებლობა არ შეუწყვეტია და ქირაობდა ავტომობილებს, რათა, სავარაუდოდ, სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება არ მიექცია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაავადება, რომელიც ღიმილით მიმდინარეობს

ტეტანუსი ანუ გაშეშება ტოქსიკური ხასიათის და ტრავმის (ჭრილობის) მწვავე ინფექციური დაავადებაა. იგი გამოიხატება კუნთოვანი აპარატის, პირველ რიგში, საღეჭი კუნთების ტონურ და კლონურ კრუნჩხვებში.

დაავადების გამომწვევია ტეტანუსის ჩხირი, რომელიც მხოლოდ მკაცრ ანაერობულ პირობებში იზრდება და გარემოში გამოყოფილი სწრაფად გადადის სპორებში, სპორის ფორმებში, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ძლებენ ნიადაგში. ტეტანუსის ჩხირის მიერ გამოყოფილი ეგზოტოქსინი შეიცავს კრუნჩხვების გამომწვევ და ჰემოლიზური თვისებების მქონე ფრაქციებს.

დაავადების ძირითადი რეზერვუარი შინაური ცხოველებია (ცხენი, ძროხა, ცხვარი და სხვ.), რომელთა კუჭ-ნაწლავის 85%-ში ბინადრობს ტეტანუსის ჩხირი. გარემო ბინძურდება ცხოველების განავალით. სპორები ადამიანის ორგანიზმში დაზიანებული კანის საშუალებით იჭრება. დაზიანება შეიძლება თვალით შეუმჩნეველიც კი იყოს. ანტისანიტარულ პირობებში ჩატარებული მშობიარობის დროს ტეტანუსის სპორებს შეუძლიათ საშვილოსნოში და აქედან ახალშობილის ჭიპლარში მოხვდნენ.

დაავადება ხშირად პროფესიულ ხასიათს ატარებს და გვხვდება მწყემსებში, სოფლის მეურნეობის მუშაკებში, ტყავისა და მატყლის დამამუშავებელი ქარხნის მუშებში.

ტეტანუსი ტოქსიკურ-ინფექციურ დაავადებათა ჯგუფს განეკუთნება და განიხილება ქირურგიულ-ტრავმული ინფექციების ქვეჯგუფში. ტეტანუსის დაავადების განვითარების ნერვული თეორიის მიხედვით, ტეტანუსის შხამი მოქმედებს ნერვულ ბოჭკოებზე, კერძოდ, ზურგის ტვინის წინა რქების მამოძრავებელ ბირთვებზე.

ინკუბაციური პერიოდი 7-14 დღეს უდრის. იშვიათად შეიძლება შემცირდეს 3-5 დღემდე და ასევე იშვიათად – გაგრძელდეს 25-30 დღემდე. ინკუბაციური პერიოდის მაჩვენებლებით შეიძლება ვიმსჯელოთ ავადმყოფობის სიმძიმეზე: რაც უფრო მოკლეა ინკუბაციური პერიოდი, იმდენად ცუდია პროგნოზი.

მშობიარეთა ტეტანუსი და ახალშობილთა ჭიპლარის ტეტანუსი სიკვდილით მთავრდება. როდესაც ტეტანუსი მცირე ტრავმების შედეგად მიმდინარეობს, მას გრძელი ინკუბაციური პერიოდი ახასიათებს და პროგნოზიც საიმედოა.

ავადმყოფობა მწვავედ იწყება, ზოგჯერ კი აღინიშნება საწყისი, პიოდრომული მოვლენები, ჭრილობაში მუდმივი ტკივილების სახით, ჭრილობასთან ახლოს მდებარე კუნთების ტკივილით და გარეშე გაღიზიანებისადმი მომატებული რეაქციით. დაავადების პირველი დამახასიათებელი ნიშანია საღეჭი კუნთების ტრიზმი – დაჭიმვა, პირის გაღების შეფერხება და ღეჭვის დროს ტკივილები. მეორე სიმპტომია ე.წ. სარდონიკული ღიმილი (ტანჯული ღიმილი): შუბლი დანაოჭდება, თვალის ნაპრალი დავიწროვდება და სახეზე მწებავი ოფლი გამოჩნდება. ამ ორ სიმპტომს შემდეგ ემატება სხვა ნიშნები: კუნთოვანი აპარატის დაძაბვა, დამცინავი ღიმილი (სახის კუნთების დაჭიმვა). შემდეგ იწყება ტონური ხასიათის კუნჩხვები და ვრცელდება კისრის, ზურგის, მუცლის კუნთებზე. ყველა კუნთი დაჭიმულია და ფიცარივით გამკვრივებული. განსაკუთრებით მომატებულია გამშლელი კუნთების ტონუსი. ტონურ კრუნჩხვებს შემდეგ კლონურიც ემატება, ავადმყოფის სხეული რკალივით იდრიკება (ოპისტონუსი), საწოლს ის მხოლოდ თავითა და ქუსლებით ეხება. კრუნჩხვების შეტევები ხშირდება და ზოგჯერ საათში 15-20-ს აღემატება. ავადმყოფს აღარ შეუძლია ღეჭვა, ყლაპვა, ლაპარაკი, უძნელდება სუნთქვა და სუნთქავს ზერელედ. ყოველგვარი გაღიზიანება (ხმაური, ჰაერის მოძრაობა, სინათლე, ოდნავი შეხებაც კი) კრუნჩხვებს აძლიერებს.



კრუნჩხვითი შეკუმშვები, ჩვეულებრივ, არ ვრცელდება ხელის მტევნებისა და ფეხის ტერფების კუნთებზე. ორგანიზმის განივი კუნთების მონაწილეობა კრუნჩხვებში პროგრესულად მატულობს.

ტემპერატურა სუბფებრილურია (ოდნავ მომატებული). იშვიათად – ნორმალურიც, მაგრამ, გარკვეულ შემთხვევებში, იმ დროს, როცა კრუნჩხვები ხშირია და ძლიერი, ტემპერატურა შეიძლება 40 გრადუსს გადასცდეს (სიკვდილის საათებში ხშირად 41 გრადუსსაც სცილდება). მაჯა ჩქარია. სხეული (სახე, ტანი) ძლიერი ოფლიანობის გამო – სველი.



კუნთოვანი სხეულის კრუნჩხვითი შეტევები განპირობებულია ზურგის ტვინის წინა რქების (მამოძრავებელი ცენტრების) გაღიზიანებით, ტეტანუსის ბაცილების ეგზოტოქსინის მოქმედებით.

ზემოთ აღწერილი კლინიკური სურათი ჩვეულებრივი მწვავე ფორმის ტეტანუსისთვისაა დამახასიათებელი. გარდა ამისა, არსებობს ტეტანუსის სხვა ფორმებიც: ელვისებური, ქრონიკული და ადგილობრივი.

ტეტანუსის ელვისებური ფორმა ემართებათ ძირითადად მშობიარეებსა და ახალშობილებს. აქ ინკუბაციური პერიოდი ძალიან მოკლეა – 3-5 დღე. თუ მშობიარობა ბინის პირობებში ჩატარდა, არ იყო დაცული ასეპტიკა და ანტისეპტიკა, ტეტანუსის სპორებით გასვრილი თეთრეულის ხმარებისას შესაძლოა მოხდეს საშვილოსნოს ინფიცირება და გამოვლინდეს ტეტანუსი. ასეთ ვითარებაში დაავადება განსაკუთრებულად მიმდინარეობს. ერთდროულად იწყება საღეჭი კუნთების ტრიზმი, სარდონიკული ღიმილი, მაღალი ტემპერატურა და ზედიზედ მომდევნო კრუნჩხვები მთელი სხეულის კუნთოვანი აპარატის ჩათრევით. ავადმყოფი მუდმივი სუბასფიქსიის მდგომარეობაშია და ორ-სამ დღეში იღუპება.

ასევე მძიმე და ელვისებური მიმდინარეობისაა ახალშობილთა ტეტანუსი. ინფიცირება ხდება გასვრილი ნივთების მეშვეობით. დაბადებიდან მეორე-მეოთხე დღეს დედა შეამჩნევს, რომ ბავშვი ძუძუს გამოწოვის ერთი-ორი აქტის შემდეგ ღრძილებს ძლიერად უჭერს ძუძუს კერტს, ლურჯდება და წოვას აჩერებს. ეს, თავის მხრივ, ძლიერ ტკივილებს აყენებს დედას, რაც ახალშობილთა ტეტანუსის პირველი და მთავარი დიაგნოსტიკური ნიშანია. ბავშვს აუწევს სიცხე 38 გრადუსამდე და ზევით, შუბლის კანი დანაოჭდება, ჩამოყალიბდება სარდონიკული ღიმილი, სუნთქვა ხშირდება და, თანდართული პნევმონიის გამო, ზერელე ხდება. სიკვდილი დგება ორ-სამ დღეში ასფიქსიის შედეგად.

ორგანიზმში მოხვედრილი უცხო სხეული (ტყვია, ჭურვის ნამსხვრევი), რომელთან ერთადაც ჭრილობაში მოხვდა ტეტანუსის სპორები, შესაძლებელია, ჩაიპარკოს. ინფექცია რჩება როგორც ფარული, ლატენტური კერა. თუ ოპერაცია უცხო სხეულის ამოსაღებად საჭირო შეიქნება, დახურული კერის აქტივიზირების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, პროფილაქტიკის მიზნით, ავადმყოფს გაუკეთდეს ანტიტეტანური შრატი.

გაშეშება შეიძლება გართულდეს ბრონქიტებითა და ბრონქოპნევმონიებით, კუნთების გაგლეჯით, ძვლის მოტეხილობებითა და ამოვარდნილობებით.

დაავადების პროგნოზი ყოველთვის საეჭვოა. ლეტალობის (სიკვდილიანობის) საშუალო დონე 40-60%-ს შეადგენს. იმუნიტეტი, როგორც ავადმყოფობის მოხდის შემდეგ, ასევე აცრის შედეგად, არამყარია. აქედან გამომდინარე, ტეტანუსი ავადმყოფს შეიძლება დაემართოს რამდენიმეჯერ.

ტეტანუსის გამოცნობა არ არის რთული. ასეთ დროს დიდ მნიშვნელობას იძენს ჭრილობა ანამნეზში. კრუნჩხვებით მიმდინარე სხვა დაავადებებისგან განსხვავებით, ტეტანუსით დაავადებულის გონება სრულიად ნათელი რჩება. შესაძლოა, საღეჭი კუნთების ტრიზმის სურათს იძლეოდეს პირის ღრუში არსებული ანთებითი პროცესები – ჩირქოვანი ტონზილიტები, სიბრძნის კბილის ამოჭრა და სხვა. ანამნეზი და პირის ღრუს დათვალიერება კრუნჩხვითი შეტევების (ბიძგების) გარეშე საშუალებას გვაძლევს გამოვრიცხოთ გაშეშება.

ტეტანუსით დაავადებული ავადმყოფის მკურნალობა კომპლექსურად მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ინფექციის კერის ქირურგიულად დამუშავებას, ორგანიზმში ცირკულირებული ტოქსინების განეიტრალებას, კრუნჩხვების შენელებას და მოხსნას, გულის მოქმედებისა და სუნთქვის გაუმჯობესებას, გართულებების, სეფსისისა და პნევმონიის მკურნალობას. თუ ჭრილობის მიყენებისას კანში მოხვდა სხვადასხვა ნატეხები, ხის ნაფოტები, ტანსაცმლის ნაჭრები, მიწა და ჭრილობის პირი დახურულია, საჭიროა ჭრილობის გახსნა, კერის გამორეცხვა ანტისეპტიკური ხსნარებითა და დრენაჟის დადება. ტეტანუსის უდავო და საეჭვო დადგენისას ავადმყოფს დაუყოვნებლივ უნდა შევუყვანოთ ანტიტოქსიკური შრატი. ნემსი კეთდება კუნთში.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტონური და კლონური კრუნჩხვების შემცირებას და მოხსნას, რაც სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებებით, რელაქსიტების ან ბარბიტურატების გამოყენებით მიიღწევა.

გაშეშების ყველაზე ხშირი გართულებაა პნევმონია (ფილტვების ანთება), ვინაიდან ავადმყოფი იძულებით უმოძრაო მდგომარეობაშია და ფილტვების ექსკურსია-ვენტილაცია შეზღუდულია. ამიტომ, ჯერ კიდევ პნევმონიის ჩამოყალიბებამდე, როდესაც საიმისო ნიშნები მხოლოდ გამოჩნდება, ავადმყოფს ენიშნება ანტიბიოტიკები. ასფიქსიასთან ბრძოლის მიზნით გამოიყენება ოქსიგენოთერაპია (ჟანგბადის მიწოდება). ტეტანუსით დაავადებული ავადმყოფების ჰოსპიტალიზაცია ხდება ინფექციურ ან ქირურგიულ სტაციონარებში. რაიონის პირობებში ავადმყოფი შეიძლება მოთავსდეს ქირურგიულ განყოფილებაშიც, ვინაიდან ტეტანუსით დაავადებული ავადმყოფი გადამდები არ არის. ინფექციურ და ქირურგიულ სტაციონარებში ავადმყოფის განთავსება მიზანშეწონილია მეტი კვალიფიციური დახმარების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ავადმყოფი უნდა მოთავსდეს ცალკე, დაბნელებულ ოთახში, სადაც მაქსიმალურად იქნება დაცული სიწყნარე.

ტეტანუსის თავიდან ასაცილებლად გამაფრთხილებელი ღონისძიებები ორი სახისაა: ინდივიდუალური და მასობრივი. ინდივიდუალური პროფილაქტიკა გულისხმობს, გასვრილი ჭრილობის ქირურგიულ დამუშავებასთან ერთად, ანტიტეტანური შრატის შეყვანას კუნთებში.

მასობრივი პროფილაქტიკური ღონისძიება გამოიხატება ტრავმისკენ მიდრეკილი კონტინგენტის, ძირითადად, სამხედრო ნაწილებისა და საწარმოების მუშების, ტეტანუსის ანტიტოქსინით ვაქცინაციაში. ვაქცინაცია ტარდება გეგმიანად.

სამოქალაქო უწყებებში ტეტანუსით დაავადებების შემთხვევები ძირითადად ბავშვთა ასაკზე მოდის. ბავშვთა კონტინგენტის ასაცრელად გამოიყენება კომბინირებული ვაქცინა – დტყ (დიფტერია, ტეტანუსი, ყივანახველა), რომელიც შეიცავს დიფტერიისა და ტეტანუსის ანტიტოქსინებსა და ბორდე-ჟანგუს, ანუ ყივანახველას დახოცილ მიკრობებს. აღნიშნული ვაქცინაცია ტარდება 4-ჯერ. 2, 3, 4 და 18 თვის ასაკში. შემდეგ 5 წლის ასაკში ბავშვი უნდა აიცრას დტ (დიფტერია და ტეტანუსი) ვაქცინით. შემდგომი აცრა ტარდება ყოველ მეათე წელს 55 წლის ასაკამდე.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ თქვენი ბავშვების პედიატრის რჩევას და დროულად მიიყვანოთ პატარები პროფილაქტიკურ აცრებზე, რათა საიმედოდ დაიცვათ ისინი ინფექციური დაავადებებისგან.



## 96 ბავშვის მამა სამსახურიდან განთავისუფლდა საკუთარი შვილების მოსაძებნად

ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრები, რომლის დამატებით შემოსავალს სპერმის დონორობა წარმოადგენდა, სამსახურიდან განთავისუფლდა და თავისი მრავალრიცხოვანი შვილების ძებნას შეუდგა.

32 წლის პროგრამისტი დილან სტოუნ-მილერი 96 ბავშვის მამაა. ყველა მათგანის ჩასახვა ხელოვნური განაყოფიერების გზით მოხდა და მათ არასოდეს უნახიათ თავიანთი ბიოლოგიური მამა.

2020 წელს სტოუნ-მილერის ერთ-ერთი ბიოლოგიური შვილის, გოგონას დედამ მისი პოვნა სოციალური ქსელის დახმარებით მოახერხა. იმ დროისთვის გოგონას, რომელსაც ჰარპერი ჰქვია, სამი წელი შეუსრულდა. გოგონას ნახვის შემდეგ მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო სხვა შვილების მოძებნა და მათთან ურთიერთობის დამყარება.

ამისთვის კი სტოუნ-მილერი სამსახურიდან განთავისუფლდა და ხანგრძლივ მოგზაურობაში წავიდა, რომელსაც საკუთარივე დანაზოგიდან აფინანსებს. ამ დროისთვის მან უკვე 14,4 ათასი კილომეტრი დაფარა და 25 თავისი ბიოლოგიური შვილი მოინახულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სასტუმროს ყოფილმა ადმინისტრატორმა თავი მაროკოს პრინცესად გამოაცხადა



ხანშიშესულმა ებრაელმა ქალმა გამოაცხადა, რომ ის მაროკოს პრინცესაა და ამის დასამტკიცებლად სასამართლო პროცესი წამოიწყო.

70 წლის ჯეინ ბენზაკენი ისრაელის და ბელგიის მოქალაქე და სასტუმროს ყოფილი ადმინისტრატორია. მან საკუთარი თავი მაროკოს ყოფილი მეფის ჰასან II უკანონო შვილად გამოაცხადა. ბენზაკენის თქმით, დედამისმა ფრეხა ბენზაკენმა მაროკოს მომავალი მეფე 17 წლის ასაკში გაიცნო, როდესაც კასაბლანკას ერთ-ერთ მაღაზიაში ასისტენტად მუშაობდა. გაცნობიდან მალევე მათ შორის რომანი გაჩაღდა, რომელიც 1951-დან 1953 წლის ჩათვლით გრძელდებოდა. მათი ურთიერთობის შედეგად დაბადებული ჯეინი კი ადრეულ ასაკში მაროკოდან ბელგიაში წაიყვანეს და გააშვილეს. ქალმა საკუთარი სამეფო წარმომავლობის შესახებ პირველად ბებიისგან გაიგო, რომელიც ასევე ბელგიაში გადავიდა საცხოვრებლად და მოუთხრობდა მათ სახლში მაროკოს პრინცის მდიდრული მანქანებით სტუმრობაზე.

18 წლის ასაკში ჯეინ ბენზაკენი ისრაელში გადაბარგდა და 1999 წელს ჰასან II-ის გარდაცვალებამდე საკუთარ წარმომავლობაზე არ უფიქრია. შემდეგ კი საკუთარი წარმომავლობის მიმართ ინტერესი გაუღვივდა. მან რამდენიმე დნმ ტესტი ჩაიტარა, რომელმაც აჩვენა, რომ ის ბელგიელი რაულ ჯოსარტის შვილი არ ყოფილა, როგორც ეს მისი დაბადების მოწმობაში იყო მითითებული. ახლა ჯეინი მაროკოს სამეფო ოჯახის წევრებს სთხოვს დნმ-ის ტესტის ჩაბარებას, რათა შემდეგ მისი ან გარდაცვლილი მეფის შვილად აღიარება მოხდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## დასავლეთელი მოკავშირეები უკრაინის დახმარების გრძელვადიან პროგრამას შეიმუშავებენ



პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნები უკრაინის დახმარების გრძელვადიან გეგმას შეიმუშავებენ. ამის შესახებ იუწყება გაზეთი „უოლ სტრიტ ჯორნალი“.

– ჩვენი მიზანი ორია: 1) არ დავუშვათ, რომ რუსეთმა ფრონტზე ინიციატივა აილოს და გაიმარჯვოს; 2) ვაჩვენოთ რუსეთს, რომ უკრაინისადმი დახმარება არ შეწყდება! – თქვა ბაიდენმა.

## თეთრი სახლი პუტინს ბრალს სდებს



თეთრი სახლის წარმომადგენელმა კარინმა განაცხადა, რომ ბანდა „ვაგნერის“ თავკაცის პრიგოჟინის მკვლელობა ვლადიმერ პუტინის ორგანიზებულია.

– კრემლს აქვს ოპონენტთა მკვლელობის უდიდესი გამოცდილება. პრიგოჟინის საქმეც გამონაკლისი არაა! – აცხადებს კარინი.

## იაპონიის პრემიერი კიევში ჩავიდა



იაპონიის პრემიერი კასიდა კიევში ჩავიდა. ის უშუალოდ ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-უკრაინის ომი იყო.

პრემიერმა აღნიშნა, რომ რუსეთის გამარჯვება ბიძგს მისცემს ჩინეთს, რომ ტაივანში შეიჭრას. იაპონიაც რეგიონალურ ომში იქნება ჩათრეული.

## რუსული არმია მახეში მოექცა!



– რუსული არმია ბახმუტში მახეშია, – განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა მალიარმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა სტრატეგიულ სიმაღლეს ბახმუტის მახლობლად უკრაინელები აკონტროლებენ და ქალაქს დაუნდობლად აუთოებენ. როგორც ცნობილია, მთელი ბახმუტი ნანგრევებშია. ქალაქის ერთ ბოლოში უკრაინული არმიაა გამაგრებული, მეორეში – რუსული. უკრაინელთა განუწყვეტელი ცეცხლის შედეგად ოკუპანტებს არ ძალუძთ ბახმუტში თავისუფლად გადაადგილება.

## უკრაინულმა არმიამ ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე ეროვნული დროშა აღმართა



უკრაინულმა არმიამ დროებით ოკუპირებულ ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე ეროვნული დროშა აღმართა. ამის შესახებ იტყობინება უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნატალია გუმენიუკი.

## ზაპოროჟიეს ფრონტზე ცხარე ბრძოლებია

უკრაინული არმია ორი მიმართულებით უტევს: მელიტოპოლის და ბერდიანსკის.

აფეთქებათა სერია გაისმის დროებით ოკუპირებულ ბერდიანსკშიც. ჰაერში ავარდა ოკუპანტების იარაღის საწყობები. რუსების რიგებში დიდი მსხვერპლია.

უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას ტავრიის მიმართლებითაც.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## მამაკაცმა იაგუარის თავდასხმა მოიგერია და ნათესავები გადაარჩინა



ბრაზილიაში, მდინარე ჟურუენასთან მდებარე კემპინგში მამაკაცი შიშველი ხელებით შეებრძოლა იაგუარს და ნათესავები გადაარჩინა.

ერივალდო მორიმანი კემპინგში დილის გასეირნებიდან დაბრუნდა, სადაც ის თავის 15 და 18 წლის ნათესავებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც დაინახა, რომ მოზარდებს იაგუარი დაესხა თავს. მამაკაცი მტაცებლის ყურადღების მისაპყრობად ხელების ქნევას და ყვირილს მოჰყვა.

ამან შედეგი გამოიღო, იაგუარმა ყურადღება მამაკაცზე გადაიტანა და თავს დაესხა. ცხოველმა მორიმანს სხეულში ბრჭყალები ჩაასო და მიწაზე დააგდო. მამაკაცი თავის გადასარჩენად მტაცებელს თათში ჩააფრინდა, მან კი თავზე უკბინა და ღრმა ჭრილობა მიაყენა.

მიუხედავად სერიოზული დაზიანებებისა, მორიმანმა მაინც მოახერხა იაგუარის თავდასხმის მოგერიება. მომხდარის შემდეგ ბრაზილიელს ორი საათი დასჭირდა ნავით უახლოეს სამედიცინო დაწესებულებამდე მისაღწევად. იქ მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც რეგიონალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ ექიმებმა მამაკაცს ჭრილობებზე 150 ნაკერი დაადეს. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

## აგრესიული მაიმუნი ქუჩაში სამ ადამიანს თავს დაესხა



თურქეთის ქალაქ სტამბულში პატრონისგან გაქცეულმა მაიმუნმა ქუჩებში ქაოსი მოაწყო. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

აგრესიული მაიმუნი პატრონს 28 აგვისტოს საღამოს გამოექცა ბიუიუკჩეკმეჯის რაიონში და სამ ადამიანს დაესხა თავს. თავდაპირველად ცხოველმა ფატიხის რაიონში იახია ჩავუშის ქუჩაზე ქალი დაკბინა, შემდეგ კი მისი მსხვერპლი ხანდაზმული მამაკაცი გახდა. შემდეგ მაიმუნმა ხუთსართულიანი სახლის ეზოში შეაღწია და იქ კიდევ ერთ ადამიანს თავის არეში დაზიანებები მიაყენა.

ამის შემდეგ მაიმუნი მეორე სართულის აივანზე აძვრა, იქიდან ბინაში შეაღწია, სადაც ავეჯის დაზიანებას და მათ გადაყირავებას შეუდგა. შეშინებული მობინადრე იძულებული გახდა, თავი სააბაზანოსთვის შეეფარებინა. ბინის დატოვების შემდეგ ცხოველი თავის პატრონს გადაეყარა, რომელიც მისი ძებნით იყო დაკავებული და მათ ერთად დატოვეს აღნიშნული ტერიტორია.

მაიმუნის მიერ დაკბენილმა ქალმა საავადმყოფოში ამოჰყო თავი, ხოლო დაშავებული მამაკაცები მცირე დაზიანებებით გადარჩნენ და მათ ცოფის საწინააღმდეგო აცრები გაუკეთდათ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## საქართველო სადებიუტო მუნდიალზე შემდეგ ეტაპზე გავიდა

**საქართველო-ვენესუელა 70:59**
**(24:19, 18:4, 17:21, 11:15)**



საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპი დაძლია, რითაც ისტორია დაწერა. სადებიუტო მსოფლიო პირველობაზე ილიას ზუროსის გაწვრთნილმა ჩვენმა ნაკრებმა სამიდან ორი მატჩი მოიგო, ლუკა დონჩიჩის სლოვენიის ნაკრებმა შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და შემდეგ ეტაპზე გავიდა. ქართველებმა ბოლო ტურის მატჩში ვენესუელის ნაკრები 70:59 დაამარცხეს და შესაძლებელი 6 ქულიდან 5 ქულა დააგროვეს.

საქართველოს ნაკრები სლოვენიასთან ერთად გადავიდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე, სადაც მეტოქეებად გერმანია და ავსტრალია ეყოლება. ყველა გუნდს მეორე ეტაპზე გადაყვება ჯგუფში დაგროვებული ქულები და თავისი ჯგუფის წარმომადგენელს არ ეთამაშება. შესაბამისად, საქართველო კიდევ 2 მატჩს გამართავს და ეცდება 4 გუნდიდან 2 საუკეთესოში მოხვდეს და მეოთხედფინალში გავიდეს. ჩვენები 1 სექტემბერს გერმანიას, ხოლო 3-ში ავსტრალიას ეთამაშებიან.

მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო 16 გუნდში მოხვედრით საქართველოს ნაკრებმა გაინაღდა 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში თამაში, რომელიც ოლიმპიადის დაწყების წინ, მომავალი წლის ივნისში გაიმართება.

რაც შეეხება ვენესუელას ნაკრებთან მატჩს, ქართველებმა ნახევარი მატჩი შესანიშნავად ითამაშეს. ჩვენმა ნაკრებმა პირველივე პერიოდში აგრძნობინა მეტოქეს საკუთარი ძალა და ამბიცია. გუნდის კაპიტანმა, თორნიკე შენგელიამ საწყის ათწუთეულში 3-ჯერ ჩაუტენა ვენესუელელებს და ქართველების მიერ პირველ პერიოდში მოგროვებული 24 ქულიდან 50% მის ანგარიშზე იყო.

მეორე პერიოდში საქართველოს ნაკრებმა მეტოქე გვარიანად დაჯაბნა. თამაშში ჩვეული ენერგიითა და შედეგიანად ჩაერთო კახა ჯინჭარაძე, რომელიც დაცვაში ხომ საიმედოდ ირჯებოდა, 2 ძალიან საჭირო ბურთიც ჩააგდო. გოგა ბითაძე ბურთებს ჩვეული სიუხვით ვერ აგდებდა, მაგრამ დაცვაში იყო გაუვალი და სამწამიან ზონას საიმედოდ იცავდა. მთლიანობაში ქებული დაცვის ხარჯზე საქართველომ მეტოქეს მეორე პერიოდში მხოლოდ 4 ქულა ჩააგდებინა, თავად 18 მიითვალა და დიდი შესვენებისთვის ჩვენიანთა 19-ქულიანი ლიდერობა დაფიქსირდა – 42:23.

მესამე პერიოდი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. საქართველო ჯერ 23 ქულით გალიდერდა, შემდეგ სამხრეთ ამერიკელებმა რამდენიმე სამქულიანი ჩააგდეს და ჩამორჩენა 16 ქულამდე შეამცირეს. მეოთხედი ვენესუელამ 21:17 მოიგო და ბოლო პერიოდის წინ საქართველოს ლიდერობიდან 15 ქულა დარჩა. საქართველოს ნაკრები ისეთი შემართული იყო, 10 წუთში 15 ქულის აღმოფხვრას ვენესუელას რომ არ დაანებებდა, ცხადზე ცხადი იყო.

დასკვნით პერიოდში ბევრი არაფერი შეცვლილა. ვენესუელა ცდილობდა თამაშის გადარჩენას, მაგრამ გამართული თამაშის წყალობით ქართველებმა არ დაანებეს. საბოლოოდ საქართველომ 70:59 გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ჯგუფი მეორე ადგილზე დახურა.

ჩვენს ნაკრებში საუკეთესო გახდა თორნიკე შენგელია, რომელმაც 25 ქულა, 3 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. კაბო ვერდესთან მატჩის მსგავსად კაპიტანი მატჩის საუკეთესოდ დაასახელეს და შეხვედრის დასრულების შემდეგ სპეციალური პრიზი ჩაიბარა.

ვენესუელასთან დაპირისპირებაში ნაკრებს 11 ქულასთან ერთად 11 მოხსნაც გოგა ბითაძემ მოუტანა; 9 ქულა ჰქონდათ დუდა სანაძეს და რატი ანდრონიკაშვილს; 4 ქულა და 9 მოხსნა კი, კახა ჯინჭარაძეს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**კალეიდოსკოპი**

## სათევზაოდ მყოფმა მოზარდმა ტბაში ფულით სავსე საფულე დაიჭირა



ამერიკის მინესოტას შტატის მკვიდრი 14 წლის მოზარდი ტბაზე სათევზაოდ იმყოფებოდა, როდესაც თევზის ნაცვლად მის ანკესზე ფულით სავსე საფულე წამოეგო და რომელიც მან მის პატრონს დაუბრუნა.

კონორ ჰალსი ოჯახთან ერთად ტბაზე სპინინგით თევზაობდა, როდესაც იგრძნო, რომ მის ანკესზე რაღაც წამოეგო. მან ნადავლი წყლიდან ამოიტანა და აღმოაჩინა, რომ თევზის მაგივრად ვიღაცის საფულე დაიჭირა.

– ჩემმა ბიძაშვილმა ბრენდონმა საფულე გახსნა და რამდენიმე ისეთი სიტყვა წამოსცდა, რომელთა გამეორება არ ღირს. შემდეგ კი მითხრა, რომ მასში ბევრი ფული იდო და მაჩვენა, – განაცხადა მოზარდმა.

ჰალსის ოჯახის წევრებმა ფული საფულიდან ამოიღეს და გასაშრობად გაფინეს. აღმოჩნდა, რომ მასში ორი ათასი დოლარი იდო. ფულის გარდა, საფულეში ასევე აღმოჩნდა სავიზიტო ბარათი. მათ მაშინვე დარეკეს მასში მითითებულ ტელეფონის ნომერზე და მის მფლობელს ყველაფერი აუხსნეს. მისი მფლობელი აიოვას შტატის მცხოვრები ფერმერი ჯიმ დენი აღმოჩნდა.

ფერმერის თქმით, მან საფულე ერთი წლის წინ, ტბაზე თევზაობის დროს დაკარგა. მას ის კომბინეზონის უკანა ჯიბიდან ამოუვარდა და წყალში ჩავარდა. დენის მისი დაახლოებით ექვსი მეტრის სიღრმეზე მოძიება და ამოღება არც კი უცდია, ვინაიდან არარეალურად მიაჩნდა.

შეტყობინების მიღებიდან ფერმერი მალევე ჩავიდა მინესოტაში, მოზარდი და მისი ოჯახი გაიცნო და თავისი საფულე დაიბრუნა. მისი თქმით, მან ოჯახს ფულადი ანაზღაურება შესთავაზა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. დენიმ მათ მადლობა გადაუხადა და მოზარდ მეთევზეს ჩანთა-მაცივარი აჩუქა, რომელიც თევზაობის დროს გამოადგება და რომელზეც მისი გვარი აწერია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**განცხადებები**

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# სტალე სოლბაკენი: „საქართველო იმაზე ძლიერია, ვიდრე გვეგონა“



8 და 12 სექტემბერს საქართველოს 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელის. ჩვენები ჯერ ესპანეთს უმასპინძლებენ, შემდეგ კი ნორვეგიას ესტუმრებიან.

სკანდინაველთა სამწვრთნელო შტაბმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც საქართველოს დაუხვდება. მანამდე კი, იორდანიასთან ამხანაგურ მატჩსაც გამართავს.

ცხადია, გამოძახებულია მანჩესტერ სიტის ვარსკვლავი ერლინგ ჰაალანდი, რომელსაც ბათუმში, საქართველოსთან (1:1) მატჩში არ უთამაშია. ნორვეგიელებს არც სხვა ვარსკვლავები აკლიათ.

„შესაძლოა, ბევრი ფიქრობს, რომ იორდანიასთან მატჩში ის ფეხბურთელები დაიტვირთებიან, რომელთაც საქართველოსთან თამაში არ მოუწევთ. თუმცა, ასე არ ვფიქრობ. რამდენიმე ფეხბურთელს, რომელთა გამოყენებასაც ქართველებთან ვაპირებ, 45, 60 ან სულაც 90 წუთი მიეცემათ. იმის გათვალისწინებით, რომ სეზონი ახალი დაწყებულია, მათ სათამაშო პრაქტიკა არ აწყენთ. საქართველო იმაზე ძლიერია, ვიდრე რამდენიმე კვირის წინ გვეგონა“ – თქვა სკანდინაველთა მთავარმა მწვრთნელმა სტალე სოლბაკენმა შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ.

**ნორვეგიის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** მატიას დინგელანდი (ბრანი), ორიან ნილანდი (სევილია, ესპანეთი), ეგილ სელვიკი (ჰაუგესუნდი);

**მცველები:** კრისტოფერ აიერი (ბრენტფორდი, ინგლისი), ფრედრიკ ბიორკანი (ბოდო გლიმტი), ბირგერ მელინგი (კოპენჰაგენი, დანია), სტიან გრეგერსენი (ბორდო, საფრანგეთი), ანდრეას ჰანჩეოლსენი (მაინცი, გერმანია), მარკუს პედერსენი (სასუოლო, იტალია), ჯულიან რიერსონი (დორტმუნდი, გერმანია), კენ სტრანდბერგი (ვალერენგა), ლეო ესტეგორი (ნაპოლი, იტალია);

**ნახევარმცველები:** ფრედრიკ აურსნესი (ბენფიკა, პორტუგალია), პატრიკ ბერგი (ბოდო გლიმტი), სანდერ ბერგე (ბარნლი, ინგლისი), ოსამე საჰრაუი (ჰერენვეენი, ნიდერლანდები), ემილ ბრეივიკი (მიოლდე), ანტონიო ნუსა (ბრიუგე, ბელგია), მარკუს სოლბაკენი (ვიკინგი), ოლა სოლბაკენი (რომა, იტალია), ჰუგო ვეტლესენი (ბრიუგე), მარტინ ედეგორი (არსენალი, ინგლისი);

**ფორვარდები:** ბერდ ფინე (ბრანი), ერლინ ჰაალანდი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), იორგენ ლარსენი (სელტა, ესპანეთი), ალექსანდერ სიორლოტი (ვილიარეალი, ესპანეთი).

ამ დროისთვის, A ჯგუფის ლიდერი შოტლანდიაა, რომელმაც ოთხივე მატჩი მოიგო და 12 ქულა აქვს; საქართველოს ნაკრებს 3 მატჩი აქვს ჩატარებული და 4 ქულით მეორე ადგილი უკავია; ამდენივე ქულა აქვს ნორვეგიასაც, მაგრამ 4 თამაშში; ესპანეთი 3 ქულით (2 მატჩი) მეოთხეა; ბოლო ადგილზე კი, უქულო კვიპროსია.

# დილას ცუდი საღამო

ევროტურნირების გამო გორის დილას ორი მატჩი ორივე დინამოსთან გადაუდეს, აქედან ერთი უკვე გამართა, მაგრამ წარუმატებლად.

**დილა-დინამო (თბ) 0:3**

**გორი. თენგიზ ბუხჯანაძე**

0:1 კამარა (61), 0:2 ხარაიშვილი (87), 0:3 სხირტლაძე (90)

მარამ გაიტანა დინამოელთა კაპიტან დავით სხირტლაძის ლამაზი ქუსლური პასის შემდეგ.

მეორე და მესამე გოლები კი ბოლო წუთებზე გავიდა: ჯერ გიორგი ხარაიშვილმა დილას მეკარე ევგენ კუჩერენკოს ბურთი თავზე ელეგანტურად გადაუგდო, ბოლოს




**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ძოწენიძე, ეტუ, სილვა, ჟან ვიქტორი (ანდრონიკაშვილი 83), სანტოსი, სარდალიშვილი (ნ.გაგნიძე 75), გომისი, მზვაკალი (გაფრინდაშვილი 79), კუხიანიძე

**დინამო:** ლორია, მაისურაძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, კობოური, ოსიყმაშვილი, მექვაბიშვილი, სხირტლაძე, ხარაიშვილი (ლაკვეხელიანი 90), კამარა (ნ.უგრეხელიძე 90), მარუშიჩი (ოდიშარია 65)

დინამო თბილისმა სტუმრად 3:0 მოუგო გორის დილას და მეორე ადგილზე გადავიდა. ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი გუნდები, კონკურენტები. თამაში საინტერესო გამოდგა და 61-ე წუთამდე ფრე იყო.

პირველი ბურთი უსმანე კაკი, სხირტლაძემ ლევან ოსიყმაშვილის პასით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 0:3.

ეს იყო დინამო თბილისის მეოთხე მატჩი ესპანელი ანდრეს კარასკოს ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში გუნდმა ჯამში 10 ქულა აიღო და 16 გოლი გაიტანა, საკუთარ კარში კი მხოლოდ 5 გაუშვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 22 | 14 | 7 | 1 | 48-22 | 49 |
| 2.დინამო (თბ) | 23 | 13 | 5 | 5 | 60-33 | 44 |
| 3.საბურთალო | 23 | 12 | 6 | 5 | 48-27 | 42 |
| 4.დილა | 22 | 11 | 7 | 4 | 38-22 | 40 |
| 5.სამგურალი | 23 | 11 | 6 | 6 | 34-30 | 39 |
| 6.ტორპედო | 23 | 9 | 7 | 7 | 27-26 | 34 |
| 7.თელავი | 23 | 5 | 6 | 12 | 19-39 | 21 |
| 8.გაგრა | 23 | 4 | 6 | 13 | 22-44 | 18 |
| 9.სამტრედია | 23 | 3 | 4 | 16 | 17-41 | 13 |
| 10.შუქურა | 23 | 3 | 4 | 16 | 29-58 | 7 |

შენიშვნა: შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599–532–690 – 12-დან 17 საათამდე**

# მიქაუტაძე აიაქსის ფეხბურთელია

ახალი ქართული სატრანსფერო რეკორდი არ შედგა, მაგრამ განმეორდა – გიორგი მიქაუტაძე ფრანგული მეციდან ნიდერლანდურ აიაქსში 16 მილიონ ევროდ გადავიდა. თუმცა, მეცი 3 მილიონის ოდენობის ბონუსებსაც მიიღებს.




22 წლის მიქაუტაძემ ჩემპიონთა ლიგის 4-ჯერ მომგებ კლუბთან ხელშეკრულება 2028 წლის 30 ივნისამდე გააფორმა.

**გიორგი მიქაუტაძე:**

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კონტრაქტი ისეთ კლუბთან გავაფორმე, როგორიც აიაქსია. ამით ძალიან ვამაყობ, რადგან ყველამ იცის, რას ნიშნავს ამ კლუბის სახელი ფეხბურთში. აქ ბევრ დიდ და ცნობილ ფეხბურთელს უთამაშია. ერთი წამითაც არ დავფიქრებულვარ, როდესაც აქ გადმოსვლის შანსი მომეცა.

სრულყოფილი მოთამაშე ვარ, მიყვარს ბურთის ფლობა, ტექნიკური, სწრაფი და გოლზე მომართული ფეხბურთელი ვარ. მიყვარს თანაგუნდელებისთვის პასების/მიცემაც, მაგრამ მთავარი გამარჯვებაა. წაგება მძულს. ორივე ფეხით ვთამაშობ, რაც დიდი უპირატესობაა. ბავშვობიდან ვვარჯიშობდი მარცხენა ფეხზე, თანდათან მარჯვენა ფეხივით გამოყენების კონდიციამდე მივედი.

ჩემი მიზანია ბევრი სათამაშო დრო მივიღო და ვაჩვენო, რომ მას ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ საჭირო თვისებები. უბრალოდ მინდა, ვაჩვენო, რისი გაკეთება შემიძლია.

არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელი, არამედ როგორც ადამიანი, ჩემთვის სამაგალითო კრიშტიანუ რონალდუა. რაც მან გააკეთა იმისთვის, რომ იმ დონემდე მისულიყო, რომელზეც არის და რასაც აკეთებს ახლა, 38 წლის ასაკში, დასაფასებელია. ამისთვის მეც ბევრს ვშრომობ. თუმცა, არ მსურს ჩემი თავის სხვებთან შედარება, მე პიროვნება ვარ, საკუთარ გზას მივყვები, მაგრამ მენტალურად ვცდილობ მას შევედარო.

რა თქმა უნდა, მახარებს არველაძესთან შედარება, დიდი ფეხბურთელია, რომელმაც თავისი კვალი დატოვა, როგორც აქ, ასევე სხვა კლუბებში. ბედნიერი ვარ, რომ აქ მის კვალს გავყვები.

გეტყვით, რომ მეცის ხელმძღვანელობას მიქაუტაძის შენარჩუნება სეზონის ბოლომდე სურდა, რის გამოც ბონუსზე უარს ამბობდა, თუ აიაქსი ჩვენებურს სეზონის ბოლომდე ფრანგულ კლუბში იჯარით დატოვებდა. თუმცა, ნიდერლანდურმა კლუბმა უარი განაცხადა.

მიქაუტაძე ლიონშია დაბადებული და იქაური სკოლის აღზრდილია. 2021 წელს საქართველოს პასპორტი მიიღო და ახლა ორმაგი მოქალაქეობით სარგებლობს.

მიქაუტაძეს საქართველოს ნაკრებში 16 მატჩი აქვს ჩატარებული, გაიტანა 4 გოლი და ერთი საგოლე პასიც გააკეთა.

გეტყვით, რომ აქამდე ქართველ ფეხბურთელებში ყველაზე მეტი თანხა, 16 მილიონი ევრო მილანმა კიევის დინამოს გადაუხადა, მაგრამ ბონუსების გარეშე. მეცი მიქაუტაძეში 20 მილიონს ითხოვდა, მაგრამ 16-ს დასჯერდა.

მიქაუტაძე აიაქსში მესამე ქართველია. აქამდე ნიდერლანდურ გრანდში შოთა არველაძესა (1997-2001) და გიორგი ქინქლაძეს (2000-01) უთამაშიათ.

მიქაუტაძის აიაქსში გადასვლის შესახებ ნიდერლანდური გუნდის პრესსამსახურთან კომენტარი თავად არველაძემაც გააკეთა.

**შოთა არველაძე:**

– ბედნიერი ვარ, რომ დიდი ხნის შემდეგ აიაქსში ქართველი ფეხბურთელი კვლავ ითამაშებს. ძალიან კარგია, რომ კლუბმა მისი აყვანა შეძლო და დიდი პატივია, როცა ჩემი ქვეყნის მოთამაშეები ასეთ დიდ კლუბს წარმოადგენენ. ჩემთვის აიაქსი მსოფლიოს 10 საუკეთესო გუნდებს შორისაა. ქართველ ფეხბურთელს, რომელიც საფრანგეთში გაიზარდა, ნაკრებში დებიუტი ჩვენთან ჰქონდა და მალე იოჰან კრუიფის არენაზეც ექნება. ეს ისტორიული მოვლენაა და ჩვენ მისით ვამაყობთ.

გულშემატკივრებს გიორგი უყვართ და ყოველთვის მხარს უჭერენ. კვარაცხელიასთან, ჩაკვეტაძეს და სხვა ფეხბურთელებთან ერთად, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ეროვნულ გუნდში ისინი დიდ ეიფორიას იწვევენ და ხალხი ამაყობს იმით, რომ მათი ქვეყნის მოთამაშეები დიდ ევროპულ კლუბებში თამაშობენ.

მიქაუტაძეს გოლები გააქვს, რაც ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანია. მან ეს განსხვავებულ დონეებსა და ტურნირებზე წარმოაჩინა. შესანიშნავი ფეხბურთელია, ძალიან ტექნიკური და ნამდვილი პროფესიონალი. იცის, რისი გაკეთება შეუძლია და აკეთებს იმას, რაც შეუძლია.

ყოველთვის გოლის გატანას ცდილობს, ყოველთვის საჯარიმოსთანაა კონცენტრირებული. სისწრაფით, სიძლიერითა და მიზნით, ის ძალიან სახიფათოა. ის ძლიერად არ ურტყამს, მაგრამ ზუსტია როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფეხით. მრავალფეროვანი შემტევია და თავდამსხმელის გარდა, 10 ნომერზე თამაშიც შეუძლია. მიუხედავად ამისა, უფრო გოლების გამტანად ვხედავ, ვიდრე საგოლე პასების შემსრულებლად. აიაქსმა მეტოქის საჯარიმოსთან ახლოს უნდა გამოიყენოს, სადაც სახიფათოა. სტილით ცოტათი ლუის სუარესს ვამსგავსებ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ არველაძემ ამსტერდამული გუნდის მაისურით 125 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 72 გოლთან ერთად 15 საგოლე პასიც შეასრულა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**29 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-მიოლდე | 2:1 |
| იანგ ბოიზი-მაქაბი | 3:0 |
| პანათინაიკოსი-ბრაგა | 0:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ასკოლი-ფერალპისალო | 3:0 |
| კოზენცა-მოდენა | 1:2 |
| პიზა-პარმა | 1:2 |
| რეჯანა-პალერმო | 1:3 |

**კალათბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ფინეთი | 101:75 |
| ანგოლა-დომინიკანები | 67:75 |
| ეგვიპტე-მექსიკა | 100:72 |
| ლიბანი-საფრანგეთი | 79:85 |
| ავსტრალია-იაპონია | 109:89 |
| ფილიპინები-იტალია | 83:90 |
| ჩერნოგორია-ლიეტუვა | 71:91 |
| კანადა-ლატვია | 101:75 |

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სვანური კოშკის ქვედა სართული; 2. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 3. ფრინველის საჭერი მახე; 4. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 8. უძველესი ქართული თეატრალიზებული თამაში-წარმოდგენა; 9. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 11. სამცხის მმართველთა ტიტული; 12. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 14. ტერიტორიული ერთეული; 16. დახელოვნებული მზარეული; 17. სიახლის შემომტანი რაიმე საქმეში; 19. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 21. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის.

**თარაზულად:** 5. რაიმე წარმატების აღსანიშნავად გამართული ქეიფი; 6. დედათა მონასტრის წინამძღვარი; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 10. ნავთობის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 13. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. ქალაქი იმერეთში; 18. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 20. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 22. მეცნიერება ხეხილის ჯიშების შესახებ; 23. რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარი განჭვრეტა; 24. პოლიციის განყოფილება იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ციტატა; 2. ბორანო; 3. გრილი; 5. მოლი; 6. თეზისი; 8. კენკრა; 11. ტარანტინო; 13. ღვეზელი; 14. ყალიონი; 15. ბინოკლი; 19. ტიკი.

**თარაზულად:** 1. ცუკერბერგი; 4. პრომეთე; 7. ტვიტერი; 9. ლიკეუმი; 10. ატენი; 12. აშკეზანი; 16. ვატიკანი; 17. ბერნინი; 18. სიკოფანტი; 20. ნეპტუნი; 21. პინო; 22. გარდიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რეგატა; 2. გიენოსი; 3. ფლანდრია; 4. ინჟინერი; 8. რინოსკოპი; 9. სენტენცია; 11. სკოტები; 12. იავა; 14. ჯინი; 16. ესტაფეტა; 17. ნეისმიტი; 19. ხამონი; 21. ჰააგა.

**თარაზულად:** 5. კლირინგი; 6. სელადონი; 7. ინტერპოლი; 10. კრუიზი; 13. ვენერა; 15. ავსტრია; 18. ასკოტი; 20. ლვინიო; 22. სამგურალი; 23. სტადიონი; 24. აგრეგატი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

31 აგვისტო

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6292

ევრო — 2.8621

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3257

100 რუსული რუბლი — 2.7387

**ამინდის პროგნოზი 31 აგვისტოსთვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვარაცხელია და ნაპოლი ხელფასზე ვერ თანხმდებიან



ხვიჩა კვარაცხელია და ნაპოლი ხელფასზე ვერ თანხმდებიან, რადგან ნაპოლი კვარაცხელიას წელიწადში 2.5 მილიონს სთავაზობს, ხოლო ხვიჩას მეტი სურს და ეს გასაგებიც არის, რადგან იტალიაში წამყვან ფეხბურთელებს გაცილებით მაღალი ანაზღაურება აქვთ.

ჯერჯერობით არ არის საუბარი იმაზე, რომ ხვიჩა ნაპოლის დატოვებს, თუმცა შესაძლოა, უახლოეს მომავალში სიტუაცია შეიცვალოს.

## ხავი: „დაცვაში თამაში უნდა გამოვასწოროთ“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა თავისი გუნდის დაცვაში თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ ეს კომპონენტი უნდა გამოასწორონ, რადგან ვილიარეალის წინააღმდეგ ბარსელონამ დაცვაში ბევრი შეცდომა დაუშვა:

– ვილიარეალთან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ დაცვაზე ამის თქმა არ შეიძლება. მინდა, რომ შეცდომები მინიმუმამდე დავიყვანოთ, რადგან მეტოქეები ამას არ გვაპატიებენ.

## გიორგი მიქაუტაძე: „მინდა აიაქსში ვაჩვენო, რისი გაკეთება შემიძლია“



გიორგი მიქაუტაძე ოფიციალურად აიაქსის ფეხბურთელი გახდა და მან ჰოლანდიურ გუნდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. აიქსმა მის ტრანსფერში 20 მილიონი გადაიხადა. მიქაუტაძემ თქვა, ის ბედნიერია, რომ ასეთი გუნდის ფეხბურთელი გახდა და ყველაფერს გააკეთებს, რათა იმედები არ გააცრუოს:

– აიაქსში გადასვლაზე ბევრი არ მიფიქრია და გადაწყვეტილება მაშინვე მივიღე. აქ იმისთვის ვარ, რომ ვაჩვენო, რა შემიძლია და ამას აუცილებლად გავაკეთებ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## „ვინ დაწერა ვეფხისტყაოსანი“ — „ხომლი“ დოკუმენტურ ფილმს იღებს



კინოსტუდია „ხომლი“ მუშაობს დოკუმენტურ ფილმზე „ვინ დაწერა ვეფხისტყაოსანი“. ფილმი უკვდავი ლიტერატურული ძეგლის ავტორის ვინაობის დადგენას ეძღვნება.

ეს არის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „დოკუმენტური/სამეცნიერო-პოპულარული კინოს ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტი.

ფილმის რეჟისორია ლევან ლომაშვილი. სცენარის ავტორი ნინია სადღობელაშვილი.

– „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მდგენელია; ისაა ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, რომლითაც მსოფლიო ცივილიზაციაში სრულუფლებიანი ადგილი გვიკავია. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც თითქმის არაფერი ვიცით მისი ავტორის შესახებ, ეს სახელი დღემდე ლეგენდებითაა შემოსილი.

ამ თემაზე არასდროს შექმნილა პროფესიული ცოდნით გაჯერებული ფილმი, არასდროს არავის უცდია, ერთ მთლიან სურათში მოეყარა თავი ყველა არსებულ თუ შესაძლო ვერსიას და ამ მრავალფეროვან სპექტრში წარმოეჩინა „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის საიდუმლო.

დოკუმენტური ფილმი ითვალისწინებს ყველა მეცნიერული თუ ზეპირი თეორიის წარმოჩენას/ანალიზს, რომელიც შოთა რუსთაველის ვინაობას შეეხება. ფილმში განხილული იქნება ყველა არსებითი ვერსია, შეიქმნება ფართო ეპოქალურ-კულტუროლოგიური სურათი – შოთა რუსთაველის ვინაობის/წარმომავლობის კვლევის კვალდაკვალ, კიდევ ერთხელ, ახლებური რაკურსებიდან წარმოჩნდება „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა და აქტუალობა თანამედროვე სამყაროში, – აღნიშნულია ფილმის შემქმნელთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

●●●

რუსულ სამხედრო ნაწილში შემოწმებაა. სამხედრო ექიმი სერჟანტს ეკითხება:

– რა ღონისძიებებს მიმართავთ ინფექციის პროფილაქტიკისთვის?

– თავდაპირველად წყალს ვადუღებთ.

– კარგია, შემდეგ?

– ვფილტრავთ.

– შესანიშნავია. შემდეგ რას აკეთებთ?

– შემდეგ, ყოველგვარი რისკი რომ გამოირიცხოს, არაყს ვსვამთ...

●●●

სიდედრი სიძეს ეკითხება:

– ჩემთან რომ მოდიხარ, ხომ ხედავ, რომ შპალერი დახეთქილია, ჭერზე ლაქებია, სანტექნიკა დამტვრეულია და რატომ არ მეხმარები, რატომ არაფერს აკეთებ?

– ეს ბინა ჩემი არ არის და რისთვის შევიწუხო თავი?!

სიდედრი დატრიალდა, ბინა სასწრაფოდ სიძეზე გადააფორმა და ერთი თვის შემდეგ სიძეს ისევ ეუბნება:

– აბა, სიძევ ბატონო, ახლა რატომღა არ აკეთებ „რემონტს“?

– კი მაგრამ, ეს ბინა ხომ შენი არ არის და რატომ იწუხებ თავს?!

●●●

ღარიბი მარტოხელა სომეხი, რომელიც პატარა ბინაში უსინათლო დედასთან ერთად ცხოვრობს, თავის ყოველდღიურ ლოცვებში ღმერთს თავისი ცხოვრების გაუმჯობესებას ევედრებოდა. ბოლოს ღმერთმა გადაწყვიტა, მისი თხოვნა დაეკმაყოფილებინა, გამოეცხადა და ეუბნება:

– მხოლოდ ერთადერთ სურვილს შეგისრულებ.

– გმადლობ, უფალო! ჩემი ერთადერთი სურვილი ის არის, რომ ჩემმა უსინათლო დედამ საკუთარი თვალით იხილოს, თუ როგორ კიდებს კისერზე ჩემს ქალიშვილს ჩემი ცოლი ოც მილიონად ღირებულ ყელსაბამს ჩემი მერსედესის ლიმუზინში, რომელიც ბევერლიჰილზში ჩემი სახლის აუზის გვერდით არის გაჩერებული!

●●●

მასწავლებელი გიგის ეუბნება:

– აბა, ჩამომითვალე, რა დამანგრეველ ზეგავლენას ახდენს ალკოჰოლი ორგანიზმზე.

– პირდაპირ ვერ მეტყვით, რომ ხვალ მშობელი მოვიყვანო?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ძაღლების გადარჩენას შეწირულ ავთანდილ ცხვედიანს ძეგლი დაუდგეს



ქობულეთელ ავთანდილ ცხვედიანს, რომელმაც ძაღლების გადასარჩენად თავი გაწირა, მოქანდაკე ირაკლი ჟვანიამ ძეგლი დაუდგა.

შემთხვევა ქობულეთში 2 წლის წინ მოხდა. ძაღლები ზღვაში შევიდნენ და ველარ გამოცურეს. ქობულეთელმა ავთანდილ ცხვედიანმა ძაღლების გადასარჩენად ზღვაში შეცურა, მაგრამ მათთან ერთად დაიღუპა.

– ავთანდილ ცხვედიანმა ქობულეთში ასეთი სიამაყის სახელი დაგვიტოვა. ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ ქობულეთში მას ძეგლი დაუდგა, რომელიც ამ დღეებში საჯაროდ გაიხსნება, – განაცხადა რუსო დავითაძემ.

ქობულეთის მერიის ინფორმაციით, ძეგლის დადგმის ინიციატივა მერიას ეკუთვნის. სამშენებლო კომპანია ძეგლის დადგმის სამუშაოებს შესაბამისი ვალდებულების ფარგლებში ახორციელებს.

## ნესტან კვინიკაძემ და ქეთი მაჭავარიანმა კინოპროექტისთვის 170.000 ევრო მოიგეს



მწერალმა ნესტან კვინიკაძემ და რეჟისორმა ქეთი მაჭავარიანმა საბერძნეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის კონკურსში გაიმარჯვეს და ახალი კინოპროექტისთვის 170.000 ევრო მოიგეს.

ინფორმაცია ნესტან კვინიკაძემ გაავრცელა:

– კაპრიზული ღმერთების და შეუკავებელი ემოციების ქვეყანას საიმედოდ დავუკავშირდი:

საბერძნეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის კონკურსში მე და ქეთი მაჭავარიანმა ახალი კინოპროექტისთვის 170 000 ევრო მოვიგეთ;

ბერძნულ ენაზე თარგმნილი ჩემი რომანი „38,44“ უკვე დასტამბულია;

აღმოჩენილია საკუთარ თავში მოგზაურობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

მოკლედ, გრძელდება ცხოვრება უილბლო ქვეყანაში. ვუბრუნდები ჩემი თანამოაზრეების ბრძოლის ორ ფრონტს – კინოც და ლიტერატურაც თავისუფალი, დამოუკიდებელი და პოლიტიკურია!

## ათონის მთაზე რიგით მესამე ქართული სავანე გაიხსნა



ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ათონის წმინდა მთაზე კიდევ ერთი ქართული სავანე გაიხსნა, რომელიც წმინდა ათანასე დიდის ლავრას ექვემდებარება და იურისდიქციით მსოფლიო საპატრიარქოს ეკუთვნის.

სავანე ქართველი ათონელი მონაზონ ილარიონის ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით დაარსდა და აშენდა. ფინანსური დახმარება ქართველმა მორწმუნეებმა გაუწიეს. მთავარი ტაძარი საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსმა, ნიკორწმინდელმა ვახტანგმა აკურთხა. ღამისთევის მსახურება ქართულ და ბერძნულ ენაზე აღესრულა, სადაც მიწვეული ათონელი მონაზვნები და ათონიადას აკადემიის მოსწავლეები გალობდნენ. საზეიმო ღამისთევის მსახურებას ასევე ათონის მთის ხილანდარის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მეთოდეც დაესწრო.

ეს ქართული სავანე რიგით მესამეა, რომელიც დღეს ათონის მთაზე არსებობს. სამივე სავანე მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაშია.

პირველი ქართული სავანე სიმონოპეტრას მონასტერს ეკუთვნის და მისი დამაარსებელი რუის-ურბნისის ეპარქიის სასულიერო პირი, არქიმანდრიტი გრიგოლია, რომელიც გამოირჩევა მისი სულიერი მოღვაწეობით ათონის მთაზე. სავანეში ოფიციალურად 2 წევრი ირიცხება.

მეორე სავანე ვატოპედის მონასტერს ეკუთვნის და მისი დამაარსებელი ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ეფრემია. აღნიშნული სავანის წინამძღვარი მონაზონი სერაპიონია.

მესამე სავანის წინამძღვარი და დამაარსებელი მონაზონი ილარიონია. აღნიშნული სავანე ათონის დიდ ლავრას ეკუთვნის, ხოლო წინამძღვარი მონაზონი ილარიონია. ახალი ქართული სავანე ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, სადაც ოფიციალურად 2 წევრი ირიცხება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური; 3. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 5. სოფელთა სახელწოდება ჩრდილო კავკასიაში; 6. დარიშხანის საბადო რაჭაში; 8. ქართული ლუდი; 11. გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ქანების შემადგენლობას, ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებს; 13. ქართული ტელეკომპანია; 14. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 15. შვედეთის, დანიისა და ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

**თარაზულად:** 1. ქართველი ქველმოქმედი, მეცენატი; 4. წმინდა ოქრო; 7. ერთ-ერთი რელიგია; 9. ოქროს ფერში ამოვლებული ძვირფასი ძაფი; 10. ფულის ერთეული პოლონეთში; 12. ლითონისკორპუსიანი ბარომეტრი; 16. იაპონიის ეროვნული ჰიმნი; 17. პლანეტათა მოძრაობის კანონების აღმომჩენი გერმანელი ასტრონომი; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე, სქელი წვენი; 20. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 21. კატარის დედაქალაქი; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

